პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
23
მაისი
№ 120
(16246)
წელი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ნუ შევურიგდებით ნაკლოვანებებს

ცკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, მისი სოციალურ-ეკონომიური პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში განუზომლად ამაღლდა კომუნისტების როლი და პოლიტიკური პასუხისმგებლობა ჩვენი საქმიანობის ყველა უბანზე. ეს ახალი ძალით ცხადყო პარტიული დოკუმენტების გამოცვლამ, რომლის შედეგებს ახლა განიხილავენ ადგილებზე. საჭიროა, რომ ყოველდღიურ პრაქტიკაში დამკვიდრდეს ერომანეთისადმი დიდი მოძმეობა-ნელობის, ყოველგვარი უარყოფითი მოვლენებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, რომელიც პარტორგანიზაციებში შეიქმნა ამ დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიების განხორციელების დროს.

„პასუხისმგებლობის გადიდებას, ინიციატივის, გერგილიანობის, სოციალისტური თაოსნობის განვითარებას. შეგნებული დისციპლინის და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის დანერგვას — მუშაობის პარტიული სტილის ამ ნიშნებს ვადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ“, — ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

ნაკლოვანებებისადმი მებრძოლი შეურიგებლობა კომუნისტის, თვითეული შეგნებული საბჭოთა ადამიანის ერთ-ერთი აუცილებელი თვისებაა. პარტიის წევრის სახით შრომაში მისი ამხანაგები ხედავენ და აფასებენ პრინციპიულ პოლიტიკურ მებრძოლს, რომელიც აქტიურად ილაშქრებს ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აფერხებს ჩვენს წინსვლას. ვადაჭრით აღმოფხვრა ნაკლოვანებებისა, რომლებიც ხელს უშლიან წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულებას, — აი რით ვლინდება უწინარეს ყოვლისა პარტიული კოლექტივის იდეური სიმწიფე და ბრძოლისუნარიანობა.

ავიღოთ, მაგალითად, კიევის ჭარხანა „არსენალის“ პარტიული ორგანიზაცია. როცა საამქროებში მიმდინარეობდა პარტიული კრებები, რომლებზეც იდგა საკითხი იმის შესახებ, თუ რა პირადი წვლილი შეაქვთ სკკპ წევრებს ხუთწლედში, ასეთი კრებებისათვის მზადებამ უშუალოდ მოიცვა 2500-მდე კაცი, რომლებმაც ბევრი საინტერესო კრიტიკული შენიშვნა და წინადადება წამოაყენეს. გულარხეინობის, პირადულობის გამოვლინებებს კომუნისტები პრინციპულ პარტიულ შეფასებას აძლევენ და კიცხავენ. შრომის დისციპლინის დარღვევებისადმი, დოყლაპაობისა და უყაირათობისადმი საზოგადოებრივი შეურიგებლობის ვითარება ხელს უწყობს წესრიგის განმტკიცებას და წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდას.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველა პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტი როდი იჩენს საკმაო გამბედაობასა და თანმიმდევრობას უარყოფით მოვლენათა აღმოფხვრაში. როგორც აღინიშნა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობაზე, ჩვენ გვყავს პარტიის წევრები, რომლებსაც არა აქვთ ნამდვილი პოლიტიკური მებრძოლის თვისებები. როცა ნაკლოვანებებს ხედავენ, მათ თავი ისე უჭირავთ, თითქოს ვერაფერს ვერ ამჩნევენ, ობივატელურ პოზიციას ადგანან: „რა ჩემი საქმეა, ამაზე ხმა ვიმაღლებ“. ასეთ პოზიციას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს. განსაკუთრებით თუ მას ადგანან მუშაკები, რომლებზეც დამოკიდებულია საქმის ორგანიზაცია. ზოგიერთ საწარმოში, მეურნეობასა და დაწესებულებაში არიან ადამიანები, რომლებიც თითქოს შეურიგდნენ თავიანთი უბნების ჩამორჩენას, და ზოგჯერ მხოლოდ „ობიექტურ“ მიზეზებს ეძებენ გეგმების ჩაშლის გასამართლებლად.

PRAVDA
22 მაისის მოწინავე

ცნობილია, რომ, თუმცა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველი ოთხი თვის შედეგები საერთოდ დადებითია, საწარმოთა ნაწილმა მაინც ვერ შეასრულა გეგმა. მაგალითად, თვიდან თვემდე ვალში რჩებიან სახალხო მეურნეობის წინაშე ბრიანსკის სპირიგაციო მანქანების ქარხანა და სიზრანის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა. ორ მილიონამდე მეტრი ხამი ქსოვილი დააკლო ქვეყანას წლის დამდეგიდან ვლადიმირის ბამბეულის საქსოვმა ფაბრიკამ „ორგანიზებულმა შრომამ“. საწარმოს ხელმძღვანელები ამას მხოლოდ მუშახელის ნაკლებობით ხსნიან და ცდილობენ აიცილონ ყოველგვარი პასუხისმგებლობა. მთელ რიგ მშენებლობებზე ირღვევა ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები. დრეზე არ ამუშავდა თუჯის საწარმოო სიმძლავრენი ყარაღანდის მეტალურგიულ კომბინატში. სასუქებისა და ნედლეულის სიმძლავრენი — ნოვგოროდის, ნოვომოსკოვსკისა და როვნოს ქიმიურ კომბინატებში.

დასახული გეგმების შესრულებას ხშირად აფერხებს მუშაობის შეჩვეული, დრომოქმული მეთოდები. კონსერვატიზმი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სწორედ კონსერვატიული აზროვნება უშლიდა ხელს კოლხეთის დაბლობში მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისა და ტექნიკური კულტურების განვითარების პრობლემების სწორად გადაწყვეტას.

პარტიული ორგანიზაციები ვერ შეურიგდებიან სახელმწიფო გეგმების ჩაშლას. რაკიდან რთულიც უნდა იყოს ობიექტური გარემოებანი. მათ სამეურნეო კადრებთან ერთად საფუძვლიანად უნდა გაანალიზონ ჩამორჩენილი უბნების საქმის ვითარება, გამოავლინონ ხარვეზები. შეიმუშაონ და განახორციელონ მათი ლიკვიდაციის ოპერატიული ღონისძიებანი. მოაფარი ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, უთუოდ შეგასრულოთ 1975 წლის დაძაბული დავალებანი, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

ნაკლოვანებათა დაძლევა მოითხოვს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის ნამდვილად პარტიულ სტილს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ტამბოვის ხაოლქო პარტიულ ორგანიზაციაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის მდგომარეობის შესახებ“ აღნიშნულია, რომ საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ ყოველივე იმას, რაც საქმისადმი პარტიული მიდგომის საწინააღმდეგოა. — ვებრძოლოთ ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურებას, კუთხურობას. მუშაობის მოძველებული ხერხებისა და მეთოდებისადმი მიდრეკილებას. კრიტიკისადმი სწორი მიდგომის მაგალითს ხელმძღვანელები უნდა გვიჩვენებდნენ. ამავე დროს ზოგიერთი მათგანი ყოველთვის როდი იცავს ამ პრინციპს. პარტიის ხაოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მთელ რიგ პლენუმებზე, რომლებიც უკანასკნელ ხანს გაიმართა, აღინიშნა, რომ ცალკეული პარტიული კომიტეტების მუშაობაში სრულად არ იყენებენ საქმიანი, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის მეთოდს.

საზოგადოებრივი დაგმობა ქმედითი ძალაა არა მარტო სამეურნეო ხარვეზების, დამუყაოების, კონსერვატიზმის წინააღმდეგ, არამედ ანტიხაზოგადოებრივი გამოვლინებებისა და საქციელის წინააღმდეგ ბრძოლაშიც. კომუნისტი, შეგნებული მოქალაქე წვრილმანი დატაცების, ხულიგნობის, ლოთობისა და ჩვენთვის უცხო სხვა ჩვეულებების გულგრილი მჭვრეტელი ვერ დარჩება. პარტიული ორგანიზაციები დაუცხრომლად უნდა უნერგავდნენ და უვითარებდნენ მშრომელებს მაღალ მოქალაქეობრიობას, კომუნისტური მორალის ნორმების გათვლვის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისა და პრინციპების უგულებელყოფის ფაქტებისადმი შეუწყნარებელ დამოკიდებულებას.

რაზმაგს რა მშრომელებს კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის ხარძოლველად. ჩვენი პარტია დაუცხრომლად იღვწის, რომ მოელი სამეურნეო. იდეურ-პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობა. საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფერო გამსჭვალული იყოს მაღალი პრინციპულობითა და ნაკლოვანებებისადმი ბოლშევიკური შეურიგებლობით.

ᲓᲘᲓᲘᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲡᲙᲙᲞ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲮᲣᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ

ᲙᲐᲡᲐᲠᲘ. „ელექტროაპარატის“ ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე წლის ხუთი თვის დავალება. შესრულდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის დავალებანი.

კოლექტივმა გადასინჯა სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი წლიური ვალდებულებანი და გადაწყვიტა გეგმის გადაჭარბებით გამოუშვას არა 100 ათასი მანეთის პროდუქცია, როგორც ეს წინათ იყო დასახული, არამედ 250 ათასი მანეთისა და ხუთწლედი დაამთავროს ოქტომბრის ბოლოს. (საქინფორმი).

ᲨᲣᲐᲒᲐᲜᲐᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ

ქარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ 15 მაისისათვის შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა. ნაცვლად 3.306 ტონისა მოკრიფა და სახელმწიფოს მიჰყიდა 3.360 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მეათე ხუთწლედის ანგარიშში მოკრეფილი აქვს 55 ტონა, კოლმეურნეთა ვალდებულებაა წლის ბოლომდე მოკრიფონ 760 ტონა ფოთოლი.

ამ კოლმეურნეობის № 3 ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ვანო კობაძე ხელმძღვანელობს, ჯერ კიდევ 1974 წლის 20 აგვისტოს შეასრულა მეცხრე ხუთწლედის დავალება და მეათე ხუთწლედის ანგარიშში 55 ტონა ფოთოლი აქვს მოკრეფილი.

კომკავშირულ-ახალგაზრდულ რგოლს, რომელსაც საქართველოს ალკკ ჩოხატაურის რაიკომის მეორე მდივანი ალექსანდრე ბეგმა. ნაცვლად 3.306 ტონისა მოკრიფა და სახელმწიფოს მიჰყიდა 3.360 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მეათე ხუთწლედის ანგარიშში მოკრეფილი აქვს 55 ტონა, კოლმეურნეთა ვალდებულებაა წლის ბოლომდე მოკრიფონ 760 ტონა ფოთოლი.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲨᲝᲚᲝᲮᲝᲕᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

1961 წ. დარიალის ხეობა.

ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲓᲘᲓᲘ ᲦᲕᲐᲬᲚᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲨᲝᲚᲝᲮᲝᲕᲡ

ᲪᲚᲙᲙ ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავთ თქვენ, გამოჩენილ საბჭოთა მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, დაბადების სამოცდამეათე წლისთავს.

თქვენი ნაწარმოებები მთელ ხალხს უყვარს. ისინი უდიდესი მხატვრული ძალით გვიჩვენებენ სოციალისტური გარდაქმნების აზრსა და ისტორიულ მნიშვნელობას, სულიერ სამყაროს უმდიდრეს მილიონობით ადამიანს, რომლებიც კომუნიზმის იდეალების განხორციელებისათვის იბრძვიან.

.გისურვებთ, ძვირფასო მიხეილ ალექსანდრეს-ძე, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ნაყოფიერ შემოქმედებითს მოღვაწეობას.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚ Მ. Ა. ᲨᲝᲚᲝᲮᲝᲕᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მწერალი მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ
Ნ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
Მ. ᲒᲘᲛᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ, 1975 წ. 22 მაისი.

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲓᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲔᲠᲗᲗᲐᲜ

22 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო კანადის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში რ. ა. დ. ფორდი, რომელმაც გადასცა კანადის პრემიერ-მინისტრის პ. ე. ტრიუდოს წერილი. საუბარში, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეები შეეხნენ საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲒᲭᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

22 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს მერვე პლენუმი.

„საზღვარგარეთის ქვეყნების პროფკავშირებთან კავშირის დასამყარებლად საბჭოთა პროფკავშირების მუშაობის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა პ. ტ. პიმენოვმა.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარისა და პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლა ა. ნ. შელეპინი მისი თხოვნის გამო.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მდივნად და წევრად ერთხმად აირჩიეს პირველი სახელმწიფო საკისრის ქარხნის მუშა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ვ. ვიქტოროვი.

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

22 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში სახელმწიფო ჯილდოები გადასცა ქვეყნის ნაკრები გუნდის ჰოკეისტებს — 1975 წლის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებს.

ნ. ვ. პოდგორნიმ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა ახალი დიდი შემოქმედებითი წარმატებები, ჯანმრთელობა და ბედნიერება პირად ცხოვრებაში. (საკდესი).

ᲡᲙᲙᲞ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲙᲔᲚᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. 22 მაისი. (საკდესი). აქედან სამშობლოში გამოემგზავრა სკკპ დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა ფინეთის კომპარტიის მე-17 ყრილობის მუშაობაში. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. ი. პელშე.

დღეს სკკპ დელეგაცია მოსკოვში ჩავიდა.

ᲓᲔᲙᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

ᲚᲘᲐᲜᲐᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲜᲔᲑᲘ

მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათში ბევრი მოწინავე მეჩაიეა. მათ შორის ერთ-ერთი პირველია ლიანა ბეჟანიხ ასული ჩხარტიშვილი. მან ხუთი წლის წინათ დაამთავრა საშუალო ხალხური და მშობლიურ სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. ლიანა ჩხარტიშვილი კომკავშირულ-ახალგაზრდულ რგოლს ხელმძღვანელობს.

ლ. ჩხარტიშვილმა მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმხაზღვრელ წელს 9 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და ამით გეგმის ერთნახევარჯერ გადაჭარბა. წლიურს ეს მოწინავე მეჩაიე 9,5 ტონა ჩაისათვის იბრძვის. რგოლის წევრები თავდადებით შრომობენ და ჩაის კრეფის ვალდებულებას ორმაგად ასრულებენ.

კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის წევრებმა პირობა დადეს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მოკრიფონ 32 ტონა „მწვანე ოქრო“, რაც გეგმას 10 ტონით ჭარბობს. უკვე მოკრეფილია პირველი ტონები.

მოწინავე მეჩაიეს ლიანა ჩხარტიშვილს თანასოფლელებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს. კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა მახარაძის რაიონის № 286 ნახაკირალის საარჩევნო ოლქში.

ᲮᲣᲠᲐᲗᲘ: ᲚᲘᲐᲜᲐ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ნ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ხალხთა, საბჭოთა ყველა ხალხის მეგობრობის დიდი, ბრწყინვალე დღესასწაული გახდა ფესტივალი „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“, რომელიც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 22 მაისს დიდ სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში.

კონცერტის დაწყების წინ „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ ფესტივალის მონაწილეებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მიესალმა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია.

— ქართველი, ხომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობა საუკუნეებს ითვლის, — თქვა მან, — მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე ჩვენი ხალხები იზიარებდნენ ჭირსა და ლხინს, ერთად იბრძოდნენ საერთო იდეალებისათვის.

მაგრამ მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში, ხალხთა შეხვაკებულებულ მრავალეროვან ოჯახში დაიწყო ერთა ხელოვნების ნამდვილი აყვავება.

ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე ყველაზე კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ფესტივალები, კონკურსები, დათვალიერებები, ლიტერატურის დღესასწაულები, რომლებიც რეგულარულად ეწყობა რესპუბლიკების დედაქალაქებში.

ნიშანდობლივია, რომ ამიერკავკასიის მუსიკოსთა შემოქმედებითი შეხვედრების ამ ჩინებულ ტრადიციას, თანამედროვე საბჭოთა ხელოვნების მიღწევათა ჩვენებას საძირკველი ჩაეყარა დიდი სამამულო ომის წლებში — ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მუსიკის პირველი დეკადა გაიმართა თბილისში 1944 წლის დეკემბერში.

ომის შკაცრ წლებში, თქვა შემდეგ ო. ჩერქეზიამ, როცა მთელი საბჭოთა ხალხი აღდგა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, საბჭოთა კომპოზიტორების მუსიკა ადამიანებს აღაფრთოვანებდა ახალი მხედრული გმირობისათვის — იგი ჰეროიკულად, ამაღლებულად, შთამაგონებლად ჟღერდა. ომის წლების მასობრივ სიმღერებშიც და დიდებულ სიმფონიურ ტილოებშიც აისახა საბჭოთა ხალხის სულიერი ძლიერება, მისი ერთიანობა და შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მისი ურყევი მისწრაფება გამარჯვებისადმი. ამიტომ არასოდეს არ შენელდება ჩვენი ხაზოგადოებრიობის ინტერესი ომის წლების ხელოვნებისადმი, საუკეთესო თხზულებებისადმი, რომლებშიც ასახულია საბჭოთა ხალხის გმირული ეპოპეა.

ჩვენ მოუთმენლად მოველოთ ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდობის გაცნობასაც, რომელსაც წილად ხვდა პატივი გამოვიდეს ესოდენ პასუხსაგებ ფორუმზე. დარწმუნებული ვართ, რომ მრგვალ მაგიდასთან, პრეს-კონფერენციებსა და დისკუსიებზე მეგობრული შეხვედრების დროს ფესტივალის მონაწილენი არ შემოიფარგლებიან მხოლოდ მოსმენილის შესახებ აზრთა გაზიარებით და საქმიანად განიხილავენ თანამედროვე მუსიკის აქტუალურ საკითხებს — თანამედროვეობასთან კომპოზიტორთა შემოქმედების კავშირის, ტრადიციებისა და ნოვატორობის, ინტერნაციონალიზმისა და ეროვნული თავისებურების შეხამების პრობლემებს.

ფესტივალის მონაწილეები და სტუმრები შეხვდებიან რესპუბლიკის მშრომელებსა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, გაეცნობიან ქართული კულტურის თვალსაჩინო ძეგლებს, ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

წლევანდელი „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“ მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს — მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, როცა მთელი ჩვენი ხალხი უმაგალითო შემოქმედებითი აღმავლობით შრომობს პარტიის დიდებულ წინასწარდასახულობისა განსახორციელებლად, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ეგებება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას. დარწმუნებული ვართ, რომ თავისითი შთაგონებული შემოქმედებითი შრომით საქართველოს, აზერბაიჯანისა და ხომეთის მუსიკოსები ღირსეულ წვლილს შეიტანენ საბჭოთა ხალხის სულიერ საგანძურში, სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან ასახავენ მის აღმშენებლობითს შრომას, კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის გმირულ მიღწევებს.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის სახელით ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი პ. საკინდეკი.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აზერბაიჯანის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ტ. ყულიევმა, ხომეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ე. მირზოიანმა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ორჯონიკიძემ.

ფესტივალის პირველ კონცერტზე შესრულდა სამი მოძმე რესპუბლიკის კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

ფესტივალის გახსნას დაესწრნენ აბხაზიაში ბ. გელაშვილი, შ. კიკნაძე, ჯ. პატიაშვილი, გ. სირაძე, ე. შევარდნაძე, გ. ჯაჯახიშვილი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ბ. შარიფოვი, აზერბაიჯანის სსრ კულტურის ministrის ზ. ბაგიროვი, ხომხეთის სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მ. ხარაზიანი. (საქინფორმი).

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ: ფესტივალის — „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ ხაზეიმო გახსნა.

ᲤᲝᲢᲝ ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ.

ერთსულოვნების ვითარებაში

15 ივნისი — საარჩევნო უფლების დღე

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ ჭიათურის № 215 ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელზეც დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს ჭიათურის „მანგანუმშენის“ № 8 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი **გალაქტიონ ფარნაოზის-ძე ქურციკიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ ზუგდიდის № 301 ოქტომბრის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე — დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გრიგორ რაუდენის-ძე ყვარაცხელია.**

ვანის მებოსტნეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ეთერ იასონის ასული ივანიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ვანის რაიონის № 272 შუამთის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ამ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ზესტაფონის რაიონის № 256 ლენტეხის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე მიიღო დადგენილება, რომ ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომის პირველი მდივანი **კობა დავითის-ძე კილაძე.**

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ ქუთაისის № 235 კიროვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. აქ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი **გიორგი ნიკოლოზის-ძე ჯიბლაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წყალტუბოს რაიონის № 245 ქვიტირის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე დადგინა, რომ დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი **ზურაბ ამბროსის-ძე ჩხეიძე.**

წულუკიძის ამბრუმსახვეე-საგრეხი ფაბრიკის მუშა **აურა შალვას ასული წვერავა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ფულუკიძის რაიონის № 260 წულუკიძის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ამ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წულუკიძის რაიონის № 261 კუნის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი **გიორგი პავლეს-ძე გამცემლიძე.** ეს გადაწყვეტილება მიიღო აღნიშნული ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ.

სოფელ გაზისუბნის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის გამგე **ლეონ ვლადიმერის ასული ჯავახიშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გურჯაანის რაიონის № 166 ველისციხის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ამ ოლქში.

გაიმართა გურჯაანის რაიონის № 168 ვეჯინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. აქ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე.**

თელავის რაიონის № 193 ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე დაადგინა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ზურაბ ალექსანდრეს-ძე პატარიძე.**

თბილისის № 1 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მექანიკური საამქროს ზეინკალი **აზიზ აფოს-ძე ბაგიროვი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის № 8 ლენინის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ამ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის № 11 ლოტკინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე დაადგინა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის № 2 საამქროს მრთველი **ნანული აკაკის ასული ჯიმშელეიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის № 59 მახათას საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე დადგინა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ბაბვა თევდორეს-ძე ლომბუანიძე.**

ქალაქ თბილისის № 64 ლენინის სამრეწველო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი **რამაზ ანატოლის-ძე გოგლიძე.**

რუსთავის ქიმიური კომბინატის ამოიკის სინთეზის საამქროს უფროსი მეპატარატე **ვალენტინა ნიკოლოზის ასული რუდი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ რუსთავის № 155 ქიმიკოსთა საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ამ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის № 195 წინანდლის საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი **ბოთლიგზის კონსტანტინეს-ძე ჯაბადარი.** ეს გადაწყვეტილება მიიღო ამ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თელავის რაიონის № 197 ოყათოს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თამარ ვასილის ასული ლაშქარაშვილი.**

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის № 12 კობაგვარის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. აქ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **გუნადი ვასილის-ძე კოლბინი.**

სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი **ნოე სოლომონის-ძე ბოკუჩავა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების აბაშის რაიონის № 290 აბაშის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს ამ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

გაიმართა აბაშის რაიონის № 291 მარნის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელზეც გადაწყვეტეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი **მიხეილ გალაქტიონის-ძე კოდუა.**

აბაშის რაიონის № 292 ძველი აბაშის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი **გურამ დავითის-ძე მგელაძე.**

(საქინფორმი).

ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲘᲠᲐᲚᲓᲜᲔᲑᲘ

უოველთვის ბევრი ხალხია საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის საბჭოს უბნის აგიტპუნქტში. აქ ამომრჩევლებს შეუძლიათ მოისმინონ საინტერესო ლექციები, საუბრები, გაეცნონ მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას.

ფართოდ არის გაჩაღებული წინასაარჩევნო აგიტაცია. აგიტატორები მშრომელებს ესაუბრებიან საბჭოთა საარჩევნო სისტემაზე, აცნობენ დეპუტატობის კანდიდატთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

* * *

სურათზე: აგიტატორები (მარცხნიდან) მ. ოქრომჩედლიშვილი, ნ. სვიმონიშვილი, ნ. ხანთელაძე, რ. ოთიაშვილი, ნ. კუპატაძე (აგიტპუნქტის გამგე) და გ. უუფარაძე აზუსტებენ ამომრჩეველთა სიებს.

გ. გოგოხიას ფოტო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

სკოლების მშენებლობას — შეუნელებელი კონტროლი!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს სკოლების მშენებლობის მდგომარეობა 1975 წლის ოთხი თვის შედეგების მიხედვით.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. პატარიძემ.

ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსმა გ. ს. შენგელიამ და რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილემ მ. ნ. ქოჩაკიძემ.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი თ. გ. ფიფოდორეა, „თბილისაქალაქმშენის“ უფროსი ბ. ა. ზატუაშვილი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. კოლჩატაძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ა. პატეშვილი, რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ა. ხარატიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის პირველი მდივანი ვ. პ. ესესაძეა, საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი ნ. დ. რუხაძე, საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ი. ჩხაიძე, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი ნ. ა. მიქმარიაშვილი.

აღინიშნა, რომ სკოლების მშენებლობის საქმეში წლის დამდეგიდან ცუდი მდგომარეობა შეიქმნა. რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ამ სამუშაოებს ძირითადად ორი სიჯარო ორგანიზაცია აწარმოებს — საქართველოს სსრ მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროები. ეერც ერთმა, ეერც მეორე სამინისტრომ, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ოთხი თვის გეგმების თვალი ვერ გაართვა. უფრო მეტიც, აპრილში შენელდა კიდეც მშენებლობის ტემპი, რის გამოც შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა ნაკლები იყო, ვიდრე მარტში.

თათბირის მონაწილეებმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ წლევანდელი წლის მაჩვენებლები შარშანდელზე დაბალია.

ბევრი ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემას უკვე ჩაშლის საფრთხე შეექმნა. მშენებლობის სამინისტროს ხაზით ესენია ქედის რაიონის სოფელ მერისის სკოლა (№ 5 ტრესტი), ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ნადაბურის სკოლა (№ 8 ტრესტი), ბორჯომის რაიონის სოფელ მიტარბის სკოლა (№ 12 ტრესტი), თბილისის ბარისახოს ჭეჩხეტი მდინარე სკოლა (№ 18 ტრესტი). ჯავის რაიონის სოფელ სინაგურის სკოლა (სამხრეთ ოსეთის მოძმაკაცი მექანიზებული კოლონა), სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით — ქედის რაიონის სოფელ ახოს სკოლა, ხულოს რაიონის სოფელ დიდაქარის, ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამების, შუახევის რაიონის სოფელ ჭვანის, გულრიფშის რაიონის სოფელ ჩხალთის, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის სკოლები.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ დღემდე არ გადაუცია საექსპლოატაციოდ სკოლები, რომლებიც გეგმით შარშან უნდა გადაეცათ. ესენია სოხუმის (მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტი), ონის რაიონის სოფელ გომის (მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტი), ხელვაჩაურის რაიონის ჩხუტუნეთის (სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტი), სკოლები.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღება დაუთმეს იმ გარემოებას, რომ ხშირად ადგილობრივი საბჭოთა ორგანიზაციების წინადადებით განთავისუფლის სამინისტროს მშენებლობის გეგმაში შეაქვს ისეთი სასკოლო ობიექტები, რომელთა აგების ადგილას არ არის ნორმალური მისასვლელი გზები; ადგილობრივი ორგანიზაციები თანაც პირობას სდებენ ხოლმე, დროულად მოვაწესრიგებთ ამ საქმესო.... წლეულს ასეთი ვითარება შეიქმნა ვანის რაიონის სოფელ რომანეთის, დუშეთის რაიონის სოფელ დგნელის, დმანისის რაიონის სოფელ კამიშლოს, ცაგერის რაიონის სოფელ ლუხვახოს, ონის რაიონის სოფელ წედისის სკოლების მშენებლობის საქმეში. მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებმა ზემდგომ ორგანოთა მითითება უურად არ იღეს და ჯერ კიდევ ყველგან როდი მოაწესრიგეს ეს გზები.

ასეთივე მდგომარეობა იქმნება ხოლმე ტერიტორიის განთავისუფლების საქმეში, მოქმედ მაგისტრალებთან გარეკომუნიკაციების შეერთების, სითბოს, ელექტროენერგიის, წყალმომარაგების წყაროების განსაზღვრის საქმეში.

თათბირზე დიდი სკა-ბაასი გაიმართა შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის საკითხებზე. მაგალითად, ცხაკაიაში, აბაშის რაიონის სოფელ აბაშისპირის, ბოლნისის რაიონის სოფელ მუშევანის, საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს, მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოს, ყვარლის რაიონის სოფელ საბუის სკოლებისა და ბევრი სხვა ობიექტის მშენებლობაზე სერიოზულად დაირღვა ნორმები და ტექნიკური პირობები.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ადგილებზე დაბალია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია და სუსტია საწარმოო დისციპლინა. არის ბევრი ფაქტი, როცა შემკვეთები და დამპროექტებლები მოიჯარეებს მითითებას აძლევენ, შეაჩერონ მშენებლობა შეცდომების გამოსასწორებლად. მშენებლები კი თავისას ჭანგრძობენ.

ჯეროვნად ეერ მიღის სკოლების მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის საქმე, რაც დააჩქარებდა სამუშაოთა ტემპს და გააუმჯობესებდა ხარისხს. მაგალითად, 75 საექსპლოატაციოდ გადასაცემი სკოლიდან 73 სკოლას აგურით აშენებენ, ისაწყობ რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს კი ნაკლებად იყენებენ.

თათბირზე აღინიშნა, რომ სასოფლო რაიონებისათვის დღემდე არ არის მეორეკომპლექტიანი სკოლების ახალი ტიპობრივი პროექტები.

თათბირზე თქვეა, რომ ასამოქმედებელ ობიექტებზე საშუშაოთა ნელი ტემპის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მისდევენ ძალებისა და სახსრების განაწილების მცდარ პრაქტიკას, დაბალია შრომის ორგანიზაციისა და მართვის დონე. წლევანდელი წლისათვის მარგნამეტი აშკარად საკმარისი რაოდენობით არ შეიქმნა. მშენებლები ბევრი სკოლის მშენებლობას ფაქტიურად მხოლოდ გზაფხულზე შეუდგნენ, რაც სრულიად არ არის ნორმალური.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა საშენებლო ორგანიზაციებთან ერთად უახლოეს ხანს უნდა განიხილონ სკოლების მშენებლობის მდგომარეობა, დასახონ კონკრეტული ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსასწორებლად. შეიმუშაონ ყველა ობიექტის სამუშაოთა ზუსტი გრაფიკი და მკაცრი კონტროლი დაუწესონ მის შესრულებას.

თათბირის მონაწილეებმა მოიწონეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის კოლექტივის ინიციატივა. ამ კოლექტივმა ვალდებულება აიღო სასკოლო მშენებლობის წლევანდელი წლის ასამოქმედებელი ობიექტების მთელი სამუშაოები 1 აგვისტოსათვის დაამთავროს და დაზოგილი მასალებით შვიდი სასოფლო ბიბლიოთეკა ააგოს.

თათბირის შედეგები შეაჯამა ზ. ა. პატარიძემ. (საქინფორმი).

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲨᲘ

დიდი მნიშვნელობის საქმე

21 მაისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განსახილველთათვის კომისიების გაერთიანებული სხდომა. განიხილეს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის, ქვანახშირის მრეწველობის, სამრეწველო მშენებლობისა და ქვების მრეწველობის სამინისტროთა საწარმოებში ქალის შრომის დაცვის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის საკითხი. სხდომაზე მოხსენება გააკეთა ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განსახილველთა კომისიის წევრმა პ. პ. ანისიმოვმა.

კომისიებმა მოისმინეს აგრეთვე სამინისტროთა ხელმძღვანელების ინფორმაციები.

სხდომაზე გამოვიდნენ კომისიათა თავმჯდომარეები ი. ვ. კაპიტონოვი და ი. გ. კეტინი.

მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ ამ სამინისტროთა საწარმოებში, ისევე როგორც მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, ბევრი რამ კეთდება მუშა ქალებისათვის. ყოველთვიურად მუშაობა მათი შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულებისათვის, საწარმოო პირობების შემდგომი შემსუბუქებისა და გაჯანსაღებისათვის, ხორცეულდება მუშა ქალების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, მძიმე სამუშაოებიდან უფრო მსუბუქ სამუშაოებზე ქალთა გადაყვანის ღონისძიებები,

ამასთანავე კომისიათა გადაწყვეტილებაში სამინისტროთა ყურადღება ეპყრობა ქალის შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებებს.

კომისიებმა ურჩიეს სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებები მომუშავე ქალებისათვის სათანადო საწარმოო და სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის, უფრო მეტად იზრუნონ მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, კარგი ხარისხის სპეციალისტებითა და ფეხსაცმლით მათი უზრუნველყოფისათვის. ღამის ცვლებში მუშაობისაგან ქალთა განთავისუფლების მიზნით წამოყენებულია წინადადება, რომ განხორციელდეს ცვლიანობის გრაფიკების სრულყოფის ღონისძიებები. კომისიებმა სამინისტროთა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა ამაღლდეს სამეურნეო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ქალის შრომის დაცვის კანონმდებლობის შესრულებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და პროკურატურის ორგანოებს რეკომენდაცია მიეცეს გააძლიერონ კონტროლი და ზედამხედველობა შრომითი კანონმდებლობის, შრომის და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის წესების შესრულებისადმი.

სხდომაზე განხილეს ზოგიერთი სხვა საკითხი. (საკინფორმი).

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ

ვარშავის ხელშეკრულებაზე მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში

19-21 მაისს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მე-20 წლისთავს მიეძღვნა.

სამხედრო საბჭომ გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალის ი. ი. იაკუბოვსკის თავმჯდომარეობით შეაჯამა ოცი წლის მანძილზე გაერთიანებული შეიარაღებული ძალების საქმიანობის შედეგები, ავრეთვე განიხილა სხვა საკითხები, რომლებიც ერთნაირად საინტერესოა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ომრმეებისათვის.

სამხედრო საბჭოს სხდომამ ჩაიარა მოკავშირეთა არმიების ძმური შეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ვითარებაში. ვარშავის ხელშეკრულება მე-20 წლისთავის გამო სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას კოლექტიურ ღონისძიებებს, რომლებიც ამ პერიოდში შეიმუშავეს და განახორციელეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა, მთავრობებმა, პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა.

გულითადობის ატმოსფეროში

ვარშავა. 22 მაისი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გიერეკმა გუშინ მიიღო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭოს სხდომის მონაწილენი.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი არმიის გენერალი ს. მ. შტემენკო და სამხედრო საბჭოს სხვა წევრები, რომლებიც ცალკეულ ერთეულ არმიებს წარმოადგენენ.

ე. გიერეკმა გამოხატა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, სახელმწიფოს ხელმძღვანელების და პოლონელი ხალხის დიდი მადლობა გაერთიანებული შეიარაღებული ძალებისადმი, რომელთა თავდაცვითს პოტენციალსა და შეკავშირების დიდი მნიშვნელობა აქვთ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების უშიშროებისათვის. პოლონეთი, თქვა მან, კვლავაც აქტიურად შეიუწყობს ხელს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვითი ძალების განმტკიცებას და სრულყოფას.

შეხვედრამ გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა.

საფრანგეთის პრეზიდენტის ინტერვიუ

პარიზი. 21 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის პრეზიდენტმა ვ. ჟისკარ დ'ესტენმა, რომელიც გაზეთ „ფიგაროსათვის“ მიცემულ ინტერვიუში შეეხო ინდოჩინეთის ამბებს, განაცხადა: ამერიკელების წასვლა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან — ეს არის მათი შეცდომის დასასრული და მისი აღიარება. სავსებით ცხადია, რომ ამერიკის პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აზრი არა ჰქონდა. ეფიქრობ, რომ არის ორი შედეგი: ამერიკის პრესტიჟის შელახვა მსოფლიოს ამ ნაწილში; ხოლო საერთაშორისო თვალსაზრისით იმ ფაქტს, რომ მთლიანად მოეღო ბოლო ამ დრამას, შეუძლია მეტი თავისუფლება მისცეს შეერთებულ შტატებს შეფასებისა და მოქმედებისათვის მისი საგარეო პოლიტიკის სხვა დარგებში.

უპასუხა რა კითხვაზე, განხორციელებს თუ არა, მისი აზრით, დასავლეთ ევროპა ოდესმე ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დამოუკიდებელ საერთო პოლიტიკას სამხედრო დარგში, პრეზიდენტმა თქვა: იქნება ორი პერიოდი. პირველი სტადია, რომ ეცდებიან უზრუნველყონ ევროპის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ხოლო შემდეგ დადგება მეორე სტადია, რომელიც გამოიხატება თავდაცვის გარკვეული ფუნქციის განხორციელებით. ამჟამად ერთადერთი მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებლად მიმაჩნია ოთხოლოეს წლებში, — ეს არის ევროპის პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მეორე თემა განიხილება უფრო მოგვიანებით.

ვ. ჟისკარ დ'ესტენი შეეხო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკასთან ურთიერთობას და განაცხადა, რომ მთავარი საკითხებში ევროპისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის შეთანხმებას, რომელიც, მისი თქმით, საფრანგეთის პოლიტიკის ძირითად კონცეფციას წარმოადგენს.

შემაშფოთებელი „თეთრი წიგნი“

ტოკიო, 22 მაისი. (საკდესის კორ.). კავასაკი, იოკოჰამა, იოკაიტი და იაპონიის სხვა სამრეწველო ქალაქები მუდამ ქარხნების ბვარტლშია გახვეული, წარმოების ნარჩენები, რომლებთაც გაუღებნილია ჰაერი, დიდ ზიანს აყენებს მცხოვრებთა ჯანმრთელობას. იაპონიის გაზეთები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა იაპონიის „ხმოვის დედაქალაქის“ საკალაო ხახელით ცნობილი კავასაკის მცხოვრები ტისინ იოსინაგა.

იოსინაგა გარდაიცვალა ბრონქიალური ასთმისაგან, რომლითაც დაავადმყოფდა რამდენიმე წლის წინათ ქარხნების კვამლით ქალაქის ჰაერის უაღრესად გაჭუჭყიანების გამო. იოსინაგა კავასაკის ოცდამესამე მცხოვრებია, რომელიც წელს გარდაიცვალა სამრეწველო ნარჩენებით ბიოსფეროს გაჭუჭყიანებისაგან გამოწვეული სნეულებით. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემებით, ქვეყნის ყოველი ათასი მოსახლიდან 130 კაცი დაავადებულია ასეთი სნეულებით.

ქვეყნის 10 პრეფექტურაში, ნათქვამია „თეთრ წიგნში“, მათ შორის ტოკიოსა და ოსაკაში, ბიოსფეროს დაცვა სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

გაიხსნა „ატლანტიკური კვირეული“

ბრიუსელი, 22 მაისი. (საკდესი). დღეს ბელგიის დედაქალაქის ევროის გარეუბანში ნატოს თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტის სხდომით გაიხსნა ეგრეთ წოდებული „1975 წლის ატლანტიკური კვირეული“. იგი დამთავრდება ნატოს საბჭოს სესიით, რომელიც სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონეზე გაიმართება.

სხდომის მონაწილეები — ნატოს წევრი 13 ქვეყნის თავდაცვის მინისტრები განიხილავენ პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება ბლოკის სამხედრო პოლიტიკის მიზნებისა და პრინციპების განსაზღვრას 1977-1982 წლებისათვის. საფრანგეთისა და საბერძნეთის წარმომადგენლები სხდომაში არ მონაწილეობენ. ეს ქვეყნები, როგორც ცნობილია, გავიდნენ ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან.

სხდომის დღის წესრიგში შეტანილია აგრეთვე ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის წევრი ქვეყნების არმიებისათვის შეიარაღების სტანდარტიზაციის, მოდერნიზაციისა და ახალ სახეობათა იარაღის ღონისძიებათა დაგეგმვის საკითხები. ეს პრობლემები უკანასკნელ ხანს მწვავე წინააღმდეგობებს იწვევენ ნატოელ პარტნიორთა შორის მათი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების კონკურენციის გამო.

თავდაცვის მინისტრები დიდ უურადღებას მიაპყრობენ ხმელთაშუა ზღვის რაიონის მდგომარეობას, რომელიც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ნატოს წრეებში ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან საბერძნეთის გასვლისა და საბერძნეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავების გამო.

ჩვენი შოლოხოვი



მიხეილ შოლოხოვი

თვითეული ჩვენგანი თავისი გულის კარნახით წერს, ჩვენი გული კი ეკუთვნის პარტიასა და მშობლიურ ხალხს.

არიან მწერლები, რომელთა წიგნებს მილიონობით ადამიანი გატაცებით კითხულობს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. ხოლო მათი დიადი ნიჭით შექმნილი გმირთა სახეები მუდამ თანამედროვის გვერდით არის, ეხმარება მას ცხოვრებასა და შრომაში, სამყაროს გარდაქმნის კეთილშობილური იდეალების თავდადებულ დაცვაში. ასეთ სიტყვის ოსტატებს სამართლიანად მიეკუთვნება გამოჩენილი საბჭოთა მწერალი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური, სახელმწიფო და ნობელის პრემიების ლაურეატი აკადემიკოსი მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვი.

მ. ა. შოლოხოვის შემოქმედების, საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში მისი წვლილის შესახებ ეხუთბრა საკდესის კორესპონდენტს მწერლის იუბილეს მოსამზადებელი და მომწყობი სრულიად საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ტიხონოვი:

შოლოხოვი ეკუთვნის იმ მწერალთა რიცხვს, რომლებმაც თავიანთი, ახალი სიტყვა თქვეს ლიტერატურაში და რომელთა შემოქმედება მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად იქცა.

კომუნისტ ხელოვანს სამართლიანად უწოდებენ ჩვენი გმირული ეპოქის მემატიანეს, რომელმაც შთამბეჭდავად წარმოსახა ლენინიზმის დიად იდეათა ძლევამოსილება. დაკვირვებული რეალისტი მწერალი, რომელიც დაუცხრომლად ადეევნებს თვალს ხალხის ცხოვრების მოვლენებს, თავის შემოქმედებაში მიმართავს საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ეტაპებს. მ. ა. შოლოხოვის რომანები „წყნარი დონი“ და „გატეხილი ყამირი“ — საბჭოთა პროზის ეს მწვერვალები კლასიკურ ნაწარმოებებად იქცა.

საბჭოთა პატრიოტების დაუვიწყარი სახეები შექმნა მან ომის დროის ნაწარმოებებში. გავიხსენოთ მშვენიერი მოთხრობა „სიძულვილის მეცნიერება“, რომელშიც მწერალმა ასახა ხალხის მასობრივი გმირობა ხალხისა, რომელიც სამშობლოს დასაცავად ადგა მკაცრი განსაცდელის ჟამს.

ომის მეორე წელს მ. ა. შოლოხოვმა დაიწყო წერა რომანისა „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“. ეს იყო ფრონტზე ჩვენი მძიმე წარუმატებლობების ხანა, მაგრამ მისი გმირები ვაჟაცობისა და მამაცობის მაგალითს წარმოადგენენ. მათს ხასიათებში, ქცევაში ოდნავც არ იგრძნობა ეჭვი მომავალ გამარჯვებაში.

გავიხსენოთ „ადამიანის ბედის“ გმირი ანდრია სოკოლოვი. მას წილად ხვდა საშინელი ტანჯვა, ფიზიკური და ზნეობრივი. ნაწარმოებში ნაჩვენებია ახალი ცხოვრების შემოქმედის, ნამდვილი მებრძოლისა და გამარჯვებულის ღრმა ადამიანური ხასიათი.

როცა ისევ და ისევ კითხულობ შოლოხოვის ნაწარმოებებს, არ შეიძლება განცვიფრებას არ იწვევდეს, რომ მწერალს ოდნავაც არ აშინებს ცხოვრების უმკაცრესი სინამდვილის აღწერა. იგი გულახდილი ვაჟაცობით წერს ამაზე და, ალბათ ამიტომაც მისი გმირები გაუტეხელი გამოდიან ყველაზე ტრაგიკული განსაცდელიდან, სწამთ თავიანთი მომავალი, იციან თავიანთი ადგილი იქ.

ცხოვრების დიდი სიმართლე

ცხოვრებისეული სიმართლის ოქროს საბადოდან მისი მარცვალ-მარცვალ ამოკრეფა არც ისე ადვილია. აქ საჭიროა საკუთარი თავისადმი დიდი მომთხოვნელობაც და ფანტასტიკური შრომისმოყვარეობაც, გონებისა და გულის ნამდვილი მხატვრული გამჭრიახობაც და იმის დიდი ცოდნაც, თუ რას წერ, და, ბოლოს, ისეთი ოსტატობა, როცა გავიწყდება, რომ შენს წინაშე სიტყვებია, — როცა წიგნის ფურცლებზე ცოცხლდება დაძაბულობითა და დრამატიზმით, სიმართლით, ხალხის სულიერი სილამაზითა და სიდიადით აღსავსე ცხოვრება.

მ. ა. შოლოხოვის ტალანტი, ხალხის წიაღში ნასაზრდოები, სამშობლოსთან და რევოლუციასთან, მთელ ჩვენს ცხოვრებასთან განუყრელად დაკავშირებული ტალანტი, მკითხველის გასცვიფრებას იწვევს, იმდენად ღრმად სწვდება ადამიანის ბედს და თვალწინ წარმოგვიდგენს მისი სულის თითქოს შეუმჩნეველ ნიუანსებს. იგი გვასწავლის გვიყვარდეს ადამიანი, რომელიც თავდადებით ემსახურება სამშობლოს, თავის აღმზრდელ კომუნისტურ პარტიას, გვასწავლის სოციალური ბოროტების, კაცობრიობის მტრების შეურიგებელ სძულველობას, აი მისი სიტყვები: „ჩვენზე, საბჭოთა მწერლებზე, ღვარძლიანი საზღვარგარეთელი მტრები ამბობენ, პარტიის კარნახით წერენო. საქმე, ცოტა არა იყოს რა სხვაგვარად არის: ყოველი ჩვენგანი გულის კარნახით წერს, ჩვენი გული კი ეკუთვნის პარტიასა და მშობელ ხალხს, რომლებსაც ვემსახურებით ჩვენი ხელოვნებით“.

მწერლის იუბილე ღირსშესანიშნავი თარიღია საბჭოთა მკითხველებისათვის, მთელი მსოფლიოს მკითხველებისათვის. იუბილესათვის მზადების დროს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ კვლავ გამოიცა მისი წიგნები, შეიქმნა მისი რომანების ახალი ეკრანიზაციები, დაიდგა სპექტაკლები მწერლის ნაწარმოებთა მოტივებზე, შეიქმნა მხატვრული ტილოები, რომლებსაც საფუძვლად დაედო დაუვიწყარი შოლოხოვისეული სახეები.

როგორც მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა მ. ა. შოლოხოვზე, მშვიდობის მეზნებარე, შეურიგებელ მებრძოლზე. მწერალს ბევრჯერ მოუწოდებია მთელი პროგრესული ძალებისათვის, რომ გაერთიანდნენ ადამიანთა მშვიდობის, თავისუფლებისა და თანასწორობისათვის, ადამიანის იმ უფლებისათვის ბრძოლაში, რომ თვითონ განაგებდეს თავის ბედს, ცხოვრობდეს და შრომობდეს მოწმენდილი მზიანი ცის ქვეშ.

ნობელის პრემიის მიღებისას მ. ა. შოლოხოვმა განაცხადა, რომ მთელ თავის შემოქმედებას უნდა უმადლოდეს საბჭოთა ხალხს, გამარჯვებულ და შემოქმედ ხალხს, ახალი სამყაროს შემქმნელ ხალხს. და მთელ თავის შრომას, მთელ თავის ნიჭს იგი ხალხს ახმარს.

მწერლის გამარჯვება

ირაკლი აბაშიძე

მიხეილ შოლოხოვის იუბილის დღე საბჭოთა მწერლობის გამარჯვების დღეა.

მიხეილ შოლოხოვი საბჭოთა ლიტერატურის ნამდვილი სიამაყეა.

მიხეილ შოლოხოვი თანამედროვე მსოფლიოს მხატვრულ მესიტყვეთა შორის, დღევანდელი ჩვენი პლანეტის მხატვრული სიტყვის ოსტატთა შორის პირველთაგანია. ამით იმ ფაქტის უბრალო აღნიშვნა კი არ მინდა, რომ ჩვენს დღეებში, ჩვენს შორის, ცხოვრობს და ქმნის დიდი რუსული მწერლობის ერთი საუკეთესო ოსტატთაგანი, მთელი ამ მწერლობის ისტორიაში; არა, ეს ცდაა მხოლოდ — ღირსეულად დაფასდეს მიხეილ შოლოხოვის ნიჭი და ოსტატობა, რომლითაც მან ჩვენი ეპოქა ჩვენი თანამედროვეობა აღბეჭდა თავისი უკვდავი წიგნების ფურცლებზე.

მიხეილ შოლოხოვის შემოქმედება ნამდვილად ღირსეული გაგრძელებაა დიდი რუსული მწერლობის საქვეყნოდ ცნობილ სახელმოხვეჭილი რეალისტური ტრადიციებისა, რომლის სათავეებთანაც დგანან ლ. ტოლსტოი, თ. დოსტოევსკი და რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ჩვენი საუკუნის მსოფლიოს მთელ შემდგომ ლიტერატურულ პროცესზე. სწორედ ამის თაობაზე ამბობდა ჯერ კიდევ ოცდათიან წლებში დიდი ფრანგი რომანისტი რომენ როლანი: „საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ახალი ნაწარმოებები (მაგალითად, შოლოხოვისა), დაკავშირებულია გასული საუკუნის დიდ რეალისტურ ტრადიციებთან, რომელშიც აისახა რუსული ხელოვნების არსი და რომელიც ტოლსტოის ოსტატობამ უკვდავყო“. ამას დაკვამატოთ ინგლისელი ჯეკ ლინდსეის სიტყვებიც: „პირველი მწერალი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ინგლისის კულტურულ ცხოვრებაზე, იყო შოლოხოვი, რომლის რომანებიც, საყოველთაო აღიარებით, ფერებისა და სახეების ისეთ სიმდიდრეს შეიცავენ, რომ შეიძლება ილაპარაკო ამ რომანების XIX საუკუნის კლასიკურ ნაწარმოებებთან სიახლოვეზე“.

დიდი რუსული მწერლობის ამ სახელოვან გზაზე მიხეილ შოლოხოვი თითქოს ყველაზე უფრო თავისებურ, ყველაზე უფრო თვითმყოფ შემოქმედად ჩანს, მაგრამ საბოლოოდ უდავოა რომ მასზე ცხოველმყოფელი გავლენა იქონია წინაპართა დიდებულმა ტრადიციებმა.

მიხეილ შოლოხოვს ბედნიერად აქვს თანდაყოლილი თანამედროვეობის განსაკუთრებული, გამძაფრებული გრძნობა. ეს მთელი მისი შემოქმედების ორგანული თვისებაა, თუ დიდებული ეპოპეა „წყნარი დონი“ იწერებოდა რუსეთის ახლად დამყარებული სამოქალაქო ომის ცხელ ნაკვალევზე, სხვა ჟანრი მისი ნაწარმოებები იბადებოდა თვით იმ მოვლენათა მსვლელობისას, რომელთა შესახებაც მოგვითხრობენ ისინი. ახლა, წარსული ათწლეულების დისტანციაზე სამოქალაქო ომიც, კოლექტივიზაციის წლებიც და დიდი სამამული ომის პერიოდიც აღიქმება როგორც ჩვენი საბჭოთა ქვეყნის, ჩვენი ხალხის ისტორიის ეტაპური ფურცლები; მიხეილ შოლოხოვი კი თვითონ იყო მოწმეც და მონაწილეც ყველა ამ დაუვიწყარი წლების მოვლენებისა და თვითონ წერდა, იქვე, ამ წლებისა და მოვლენების მხატვრულ ისტორიას.

მწერლობისა და ხელოვნების ისტორიამ არაერთი დიდებული ნაწარმოები იცის, რომელიც ჩვენს ჯერ კიდევ საბოლოოდ მოუწყობელ, მოუწესრიგებელ დედამიწაზე დატრიალებული ომების თემაზეა შექმნილი, მაგრამ ამ ისტორიამ ისიც იცის, რომ ეს ტილოები იქმნებოდა მხოლოდ ომების შემდეგ; ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიამ არ იცის არც ერთი დიდად მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც თვით ომების მრისხანე დღეებში შექმნილიყოს და თანამებრძოლივით გვერდით ამოსდგომოდეს მხედარს ბრძოლის ველზე; მხედარსაც იგი თავის საბრძოლო იარაღად ექცეოს, დიდ სამამულო ომში შექმნილი ბევრი მხატვრული ნაწარმოები თან მიჰქონდათ ჩვენს მეომრებს იმ მრისხანე ცეცხლში როგორც სამხედრო საჭიროული, როგორც მათრით წყალი, როგორც სავალი სამზარეულოდან ბურის ნატეხი, როგორც სანუკვარი წერილი სამშობლოდან. ეს არის საბჭოთა ლიტერატურის ნიშანდობლივი თავისებურება და სწორედ მიხეილ შოლოხოვს ეკუთვნის პირველი ადგილთაგანი ჩვენი ლიტერატურის ამ თავისებურების ჩამოყალიბებაში.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებშივე იბეჭდებოდა გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე მიხეილ შოლოხოვის ახალი რომანი „ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის“. ახლა ცნობილია, რა ძვირფასი იარაღი იყო ეს ნაწარმოები მებრძოლებისათვის, იმ ადამიანებისთვის, ვისზეც იყო მოთხრობილი ამ რომანში. ეს დიდებული ნაწარმოები ომის დღეებშიკე შეიყვარა მკითხველმა, ომის დღეებიდანვე აღიარა იგი თავის ნამდვილ სულიერ მეგობრად.

გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზევე დაიბეჭდა 1942 წლის ივნისში მიხეილ შოლოხოვის „სიძულვილის მეცნიერება“. და აქ მოხდა ის, რაც ერთხელ კიდევ ახასიათებდა და ახასიათებს ფაშიზმის მხეცურ ბუნებას: სწორედ ერთი თვის შემდეგ 1942 წლის ოვლისში ჰიტლერისა და გებელსის „ყორნებმა“ საჰაერო ყუბარები დაუშინეს „წყნარ დონზე“ უშშიდეს სტანიცა ვეშენსკაიას, სწორედ მიხეილ შოლოხოვის სახლს, და დაანგრიეს იგი. ამ ტრაგედიის დროს დაიღუპა დიდი რუსი მწერლის ღრმად მოხუცი დედა. თვით მიხეილ შოლოხოვი ამ დროს იარაღასხმული სულ სხვა ფრონტზე იბრძოდა, ან უკეთ რომ ვთქვათ, იგი ყველა ფრონტზე იყო და მისი განადგურება ვეშენსკაიაში, ამ პატარა დასახლებულ პუნქტში არავის შეეძლო, არავის შეეძლო, რადგან მიხეილ შოლოხოვი უკვე უკვდავი იყო.

საქართველოში სტუმრობის დროს, მიხეილ შოლოხოვს, ჩვენს ვარძიაში მთელი გულისყურით ვადევნებდი თვალს; არ მეგონა, რომ ვარძიის ნაგრავები, ეს შორეული წარსული, ასე დიდად იმოქმედებდა ჩვენი თანამედროვეობის ამ ნაცად მემატიანეზე, მხოლოდ ჩვენი დღევანდელობის მხატვარზე. გულში გავიფიქრე: — ხომ არ სურს მას ოდესმე ხელი მოკიდოს ისტორიულ თემასაც; მაგრამ მიხეილ შოლოხოვს ეტყობა ეს არასდროს აზრადაც კი არ მოსვლია. მაშინ ხომ მას დასჭირდებოდა შეექმნა სხვა მხატვრული სტილი, განსხვავებული იმისგან, რაც მან მთელ მის უმდიდრეს შემოქმედებით გზაზე შექმნა — შოლოხოვისებური სტილი, ეპოქის გამოკვეთილი მხატვრული სტილი, რომელიც მან აღმოაჩინა თანამედროვეობის ასახვისათვის „დონის მოთხრობებიდან“ ვიდრე მისი უკანასკნელი რომანის ბოლო აბზაცებამდეხომ მართალია, რომ სწორედ სტილში მჟღავნდება მხატვრის ურთიერთობა ხინამდვილესთან.

მიხეილ შოლოხოვი იყო და რჩება თანამედროვეობის განუმეორებელ მხატვრად.

მიხეილ შოლოხოვი ცხოვრობს და ქმნის ხალხის ცხოვრებით, ეს მე განიერებენ“. ... საკუთრებული დამაჯერებლობით ვიგრძენი და ვნახე მასთან სტუმრობის დროს, მის სტანიცაში, მის სახლში.

ნახეთ თქვენ იგი, მისი სტანიცის ქუჩებში, მისი სტანიცის სახალხო სახლში, დონის კაზაკთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტზე; მისი აქ ყოფნა, მაყურებელთა არავითარ რეაქციას არ იწვევს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. (აბა იჯდეს შოლოხოვი მოსკოვის დიდ თეატრში?). ხის შოლოხოვი და ესაუბრება თავის მაკარ ნაგულნოვს და სიმონ დავიდოვს, თავის პროხორ ზიკოვს და ილია ბუხწკას. გრიგორ მელეხოვს და აქსინიას, ნატალიას და პაპა შჩუკარს; აქ მართლაც საოცარი ოსტატის ხელით წაშლილია ზღვარი ლიტერატურასა და სინამდვილეს შორის; თქვენ ვერ არკვევთ — კითხულობთ თუ ხედავთ, წარმოიდგენთ თუ გესმით, ტრიალებთ მწერლის მიერ დახატულ გმირებში თუ ცოცხალ ადამიანებში.

„ვის ეკუთვნის ადამიანი?“ — რაც დღევანდელ ინტელიგენტურ სამყაროში ეს პრობლემა დგას, როცა წარმოს ურთულესი კამათი ადამიანის შეცნობის პრობლემის გამო — საბჭოთა ლიტერატურას, მთელ დღევანდელ მსოფლიო ლიტერატურას, პირველ რიგში მიხეილ შოლოხოვის შემოქმედება შეიძლება ეჭიროს ხელში დრომად.

„ვის ეკუთვნის ადამიანი?“ ვინ უნდა გასხსნას ადამიანის სულის ურთულესი საიდუმლო: ეკუთვნის ადამიანი მეცნიერებას, თუ ადამიანი ეკუთვნის ლიტერატურასა და ხელოვნებას? — ეს კამათი კიდევ უფრო გარეთ ადგა ბას შემდეგ, რაც მეცნიერებამ, მათ შორის საზოგადოებრივმა მეცნიერებამაც, ჩვენს დროში მიიღო დამხმარე იარაღი —მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა.

ლიტერატურას კი ადამიანის შესწავლის საქმეში არავითარი ტექნიკური ბაზა, არავითარი დამხმარე იარაღი არ გააჩნდა, არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს, მისი ერთადერთი იარაღი ასლაც ოგივეა, რაც ათასი წლის წინათ იყო — მხატვრული წვდომის მხატვრული მტკიცების, მხატვრული არგუმენტაციის, მხატვრული ზემოქმედების, მხატვრული ოსტატობის, უკვდავი იარაღი; ის იარაღი, რომელიც ასე ძლევამოსილად ეჭირა ხელში ყველა დიდ შემოქმედს; იარაღი, რომელიც ასე ძლევამოსილად უჭირავს ხელში მიხეილ შოლოხოვს.

ლიტერატურას, ადამიანის სულის მხატვრულ კვლევას შეუძლია, ნამდვილად შეუძლია გასხსნას ეს საიდუმლო; ამის თვალსაჩინო მაგალითი მიხეილ შოლოხოვის შემოქმედებაა. სწორედ მან, მიხეილ შოლოხოვმა გასხსნა ბევრი შესანიშნავი ადამიანის, ბევრი საბჭოთა ადამიანის სულის საიდუმლო.

მიხეილ შოლოხოვის შემოქმედება მეტად ნათელი და მკაცრი ლიტერატურული საზომია. შოლოხოვის შემოქმედების შუქზე ძალიან აშკარად ჩანს—რა არის ნამდვილი ლიტერატურა და რა არის ლიტერატურული სუროგატი.

ვუსურვებ ჩვენს დიდ მეგობარს, მიხეილ შოლოხოვს, რკინის ჯანმრთელობას და ახალ გამარჯვებებს.

ვუსურვებ მთელ ჩვენს საბჭოთა მწერლობას ახალ, დიდ წარმატებებს —მიხეილ შოლოხოვის იუბილე ჩვენი მწერლობის საერთო დღესასწაულია.



სურათებზე: 1961 წლის ივნისში მიხეილ შოლოხოვი პირველად ეხტუმრა საქართველოს. ეს სურათიც (მარცხნივ) მაშინ არის გადაღებული ქ. გორში, ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის წინ გაზეთ „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტის ვლ. გინზბურგის მიერ. მარცხნიდან მარჯვნივ — ირაკლი აბაშიძე, მიხეილ შოლოხოვი, ბიორგი ლეონიძე, ბიორგი ჯიბლაძე; სურათზე მარჯვნივ თქვენ ხედავთ მ. შოლოხოვის სახლს სტანიცა ვეშენსკაიაში (ვ. ტურბინის ფოტო, საკდესის ფოტოქრონიკა).

გულითადი მეგობრობის სტრიქონები

მიხეილ შოლოხოვი — საქართველოს

გულითადი სალამი მუზეგლიურ ქართველ ხალხს, გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს. მალე შეხვედრამდე!

7. IX — 1959 წ.

ზორიდან გულოცავ ძვირფას ქართველ ხალხს და, ვიმყოფები რა ინგლისში, ვოცნებობ საქართველოში ჩამოსვლაზე.

გისურვებთ მომავალ ახალ წელს ყოველივე კეთილს!

1960 წლის დეკემბერი.
ლონდონი.

პირველად რომ შემოვდგი ფეხი საუკუნეებში ხახელგანთქმულ საქართველოს მიწაზე, არ შემიძლია არ გადავცე ჩემს მკითხველებს უაღრესად გულითადი სალამი და უაღრესად კეთილი სურვილები.

19. VI. 1961 წ.

სამახსოვრო ბარათი მიხეილ მამულაშვილს — მცხეთელ მინდიას.

ბისურვეს ძვირფას სეხნიას კიდევ ერთი ამდენი გეცოცხლოს და სიცოცხლის მეორე ნახევარში გაგიკეთებინოს თუნდაც ერთი მეათედი ამისა, რაც უკვე გაკეთებული გაქვს.

20. VI. 1961 წ. მცხეთა.

მოხარული ვარ, მეორედ რომ ვნახულობ მ. ა. მამულაშვილის საუცხოო წარალოტს. ვუსურვებ ძვირფას მასპინძელს ჯანმრთელობასა და სიმხნეევს.

10. VIII. 1968 წ.

ჩანაწერი გორის ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში.

თავმოყრილია და ინახება შესანიშნავად.

21. VI. 1971 წ.

ჩანაწერი გორის დიდების მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში.

მუზეუმი საინტერესოა და, რაც მთავარია, საგირო ჩვენს ახალგაზრდობაში პატრიოტული გრძნობების აღსაზრდელად.

10. VIII. 1968 წ.

სიტყვა ვაჟა-ფშაველაზე პოეტის დაბადების 100 წლისთავის გამო.

ძლიერ ვუხარ, რომ ამ დღეს თქვენთან არა ვარ, ძვირფასო ქართველებო!

მაგრამ განა იმაზეა საქმე, თუ სად ვიქნები ამ ღირსშესანიშნავ დღეს? სულ ერთია, ჩემი სული და გული თქვენთან იქნება. ვაჟა-ფშაველა უდავოდ მსოფლიო მნიშვნელობის მწერალია, და ამ დღეს მიმიღია იმათ რიცხვში, რომელნიც შვილობრივი სიყვარულით მოიხრიან თავს იმის ნეშტის წინაშე, ვისი ქმნილებანიც მარად ესთეტიკურ სიტკბოებას გვანიჭებენ, ვინც ჭეშმარიტად უკვდავია!

23. VI. 61 წ.

ეს ჩვენი საერთო ისტორიაა

წმინდად შეინახეთ ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია ალ. ჭავჭავაძის სახელთან, საქართველოს ისტორიასთან, გრიბოედოვის ამაღელვებელ სიყვარულთან. ეს ჩვენი საერთო ისტორიაა, ძველთაგან მონათესავე ორი კულტურის ისტორია, უკვდავებაში გადასულთა ნაღვლიანი და უძვირფასესი ისტორია“.

წინანდალი.
23. 6. 61 წ.

გმირ ქართველ მეჩაიეებს

ნება მიბოძეთ გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ საშუალებით ჩემი გულითადი სალამი გადავცე საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს და ვუსურვო მათ დიდი წარმატებანი და ბედნიერება ცხოვრებაში.

მე ვისურვებდი განსაკუთრებით გულითადად მივესალმო და გადავეცეო ჩვენი ჩაის პლანტაციების მშრომელ ქალებს. ჩემდა სამარცხვინოდ საქართველოში ჩამოსვლამდე არ ვიცოდი, თუ რა მძიმეა თქვენი შრომა. აი ამიტომაც განსაკუთრებით მოგესალმებით და გულითადად ვეხვევიან. თუ მე ვეხვევით თქვენ ყველას — ეს უკვე საშინი არ არის, და თუ ისინი, ვისაც უყვარხართ, გაითვალისწინებენ, რომ მე უკვე მეექვსე ათეულ წელში ვარ, — მაშინ მოხვევნა არ გამოიწვევს მათს ეჭვიანობას, არამედ გაიღვიძებს სიამაყის გრძნობას ქართველი ქალებისადმი მათს სულში, როგორც გაღვიძა ჩემს სულში.

24. VI. 1961 წ.

ქართულ ღვინოზე ნათქვამი

თქვენს ღვინოში ჩაჩსოვილია ქართველი ხალხის მრავალი ჯადოსნური თვისების სამი შესანიშნავი ღირსება: სიმაგრე, სინაზე, სიმტკიცე.

მივესალმები ქართულ მიწას!

1965 წ.

სიტყვა ზოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის გამო.

მადლიერი კაცობრიობა მუდამ ეამს მწუურვალე გონებით დაეწაფება პოეზიის ცხოველმყოფელ ამ პირველქმნილ წყაროს — „ვეფხისტყაოსანს“.

3. VIII. 1966 წ.

ჩანაწერი სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სოხუმის ინსტიტუტის შთაბეჭდილებათა წიგნში.

ამაუოფილებით მოვინახულე ეს მეურნეობა, რომელიც დიდი იმედის მომცემია მეცნიერებისათვის და, მაშასადამე, კაცობრიობისათვისაც.

ჯანმრთელობასა და წარმატებებს ვუსურვებ ყველა თანამშრომელს.

28. VIII. 1968 წ.

ჩანაწერი ბათუმის აკვარიუმის შთაბეჭდილებათა წიგნში

ყოველი საქმე წინ მიდის, როცა არის ამ საქმის ენთუზიასტი. გისურვებთ წარმატებას.

20. VIII. 1968 წ.

ჩანაწერი მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის შთაბეჭდილებათა წიგნში.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობის რიგითმა კოლმეურნემ დიდი ხნის შემდეგ მოინახულა მშობლიური კოლმეურნეობა, აღფრთოვანებულია კოლმეურნეობის მიღწევებით. ნატანების სტუმართმოყვარე მიწა-წყალს რომ ტოვებს, უსურვებს კოლმეურნეებსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. წითლიძეს შემდგომ წარმატებებს, კეთილდღეობასა და აყვავებას.

21. VIII. 1968 წ.

მეგობარი ლარნი,
ფინეთი.

შოლოხოვის შემოქმედება მე უდიდეს ლიტერატურულ მოვლენად მიმაჩნია. ჩემი თაობის ადამიანთა ცხოვრებაში, ჩემს ქვეყანაში (და არა მარტო ჩემს ქვეყანაში) მან ისეთი როლი შეასრულა, რომელს მასშტაბებზე დღევანდელ ახალგაზრდობას ყოველთვის როდი აქვს ჯეროვანი წარმოდგენა.

მე ლიტერატურის ისტორიკოსი არა ვარ და შოლოხოვის ლიტერატურული ოსტატობის კრიტიკულ განხილვას ვერ ვიკისრებ. მე ვწერ მხოლოდ როგორც ადამიანი, რომლის ლიტერატურული და პირადი ბედი უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული მიხეილ შოლოხოვის შემოქმედებასთან. სწორედ მან განსაზღვრა ის გზა, რომელიც მე ავირჩიე. და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემისთანები ბევრნი არიან.

ეჟი პუტრამენტი,
პოლონეთი.

გონების თვალით რომ გადახედავ XX საუკუნის ლიტერატურის რთულ, წინააღმდეგობებით სავსე, ვულკანისებურ-მოქანავე ზედაპირს, იქ რამდენიმე დიდებულ მწვერვალს, პიკს შენიშნავ. მათ შორის ჩემთვის განსაკუთრებულია „წყნარი დონი“. მე მგონია, რომ ამ გიგანტურ ქმნილებაში აღბეჭდილია თვით იდეა ეპოსისა.

უდიდეს ოსტატობასა და პროფესიონალიზმთან ერთად, შოლოხოვის განსაკუთრებულობა ისიც არის, რომ მისი შემოქმედება უაღრესად ბუნებრივად, ორგანულად არის ამოზრდილი ცხოვრებიდან. სხვათა შორის, შეიძლება ნამდვილი ოსტატობაც სწორედ ეს არის.

მისი წერის პლასტიკა შეუდარებელია. გრძნობათა ექსპრესია — დიდებული, ენა — უტყუარად ცხოვრებისეული, არავითარი სიყალბე, ხელოვნურობა, ჭეშმარიტად ხალხის ენაა.

შოლოხოვისეული ჯამოცდილება ჩემთვის ყოველთვის იყო და მარად დარჩება დიდ შემოქმედებით გაკვეთილად.

მეშა სელიმოვიჩი,
იუგოსლავია.

ბორიბ ლეონიძე

ბორიბ ჯიბლაძე

ირაკლი აბაშიძე

მიხეილ შოლოხოვი

მთელი კლანეტის ალერი

სიტყვა მ. შოლოხოვზე

მიხეილ შოლოხოვი ჩვენი ლიტერატურის შესანიშნავი მოვლენაა. იგი ოქტომბერმა დაბადა და საბჭოთა ეპოქამ შექმნა. იგი ლიტერატურაში მოვიდა სოციალური ბრძოლის ტანჯვა-წამებასა და ტრაგედიებში ახალი საზოგადოების დაბადების თემით.

...„წყნარ დონში“ მან დონის კაზაკობის ცხოვრების ეპიკური, მიწის სურნელით სავსე, ფერწერული ტილო გადაგვიშალა, მაგრამ მარტო ამით როდია შემოწლუდული რომანის დიდი თემა: „წყნარი დონი“ თავისი ენით, გულწრფელობით, ადამიანურობით, პლასტიკურობით — ზოგადრუსული, ეროვნული, ხალხური ნაწარმოებია.

ალექსი ტოლსტოი.

მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვი დიდი მწერალია. უდიდესმა ნიჭიერებამ და ისტორიულმა ვითარებამ საშუალება მისცა მას შეექმნა დიდებული ნაწარმოებები.

მშვენიერი კაზაკური სტანიცა ვეშენსკაია — მსოფლიოს ერთ-ერთი ლიტერატურული წმინდა ადგილია. პამელ ჯონსონს და მე ბედმა გაგვიღიმა: ჩვენ გაგვიგია დონურ, შოლოხოვს მიწაზე. ჩვენ თითქოს იმ წიგნის ფურცლებზე მოვსვდით, რომელსაც ესოდენ სიამოვნებით კითხულობდით. რა კარგია, რომ გამოჩენილი მწერალი თავისი წიგნების გმირთა შორის ცხოვრობს.

მაშ ასე, ულრმესი სიყვარულით და პატივისცემით მივესალმები ჩემს მეგობარსა და თანამომძეს. იგი რაღაც საოცრად ამდიდრებს ჩვენს ცხოვრებას.

ჩარლზ სნოუ,
ინგლისი.

დონური ცხოვრების ამსახველი არაჩვეულებრივი ნაწარმოების ავტორი, თქმა არ უნდა, — ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მწერალია. ტოლსტოის „ომი და მშვიდობის“ დარად რომ წარმოსახავს ეპოქას, შოლოხოვის ეპოპეა — „წყნარ დონს“ აქვს ისეთი უდიდესი შემოქმედებითი ზემოქმედება, რომლის მსგავსი იშვიათია მსოფლიო ლიტერატურაში და რომელიც რუსი ხალხის ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი გამოხატულებაა. ეს ნაწარმოები მთელ ლიტერატურაზე ამაღლებულად წარმოგვიდგება, სულ ერთია რომელი განზომილებითაც უნდა განვიხილოთ იგი — ავტორის პოზიციის თუ მისი ცხოვრებისეული გზის თვისებურების აზრით. ეს ჭეშმარიტად გრანდიოზული ნაწარმოებაა.

ჟორჟი ამადუ,
ბრაზილია.

მისი ადრეული ნაწარმოებები პირველად დიდი ხნის წინათ წავიკითხე, და მახსოვს — ძალიან დიდი და ძლიერი იყო შთაბეჭდილება. ამასთან ერთად შეხვედრები მასთან როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემთვის შარად სამახსოვროა და მათ დროის გამოცდა ვერაფერს დააკლებს.

ერსკინ კოლდუელი,
აშშ.

ადამიანის მოდგმის მხოლოდ უდიდესი მცოდნე შეიძლება იყოს დიდი მწერალი. შოლოხოვი რეალისტია ამ ცნების უმაღლესი გაგებით. მას შეუძლია, რომ ქაღალდის ფურცელზე ცხოვრება ისევე მჩქეფარებდეს, როგორც სინამდვილეშია ჩვენს ირგვლივ. იგი ლირიკოსია და ბუნება მისთვის ადამიანური ცხოვრების ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. მას საგულდაგულო დამკვირვებლის თვალი აქვს და ადამიანის სულის სიღრმეებში იხედება. ამიტომ, როცა ადამიანურ ტკივილს თუ ყველაფრის დამთრგუნველ ცხოვრებისეულ ვნებებს გამოხატავს, მას არ ესაჭიროება ყურით მოთრეული კამერული ფსევდოფილოსოფია და უსულო ტრაფარეტი.

თუ ჩვენ შევეცდებით შოლოხოვ-რომანისტის ხელოვნება რამდენიმე სიტყვით დავახასიათოთ, მაშინ უწინარეს ყოვლისა უნდა ვილაპარაკოთ მის ნათელ ჰუმანიზმზე, სამართლიანობისადმი მისწრაფებაზე, ადამიანისადმი რწმენაზე, აგრეთვე სტილის ფაქიზ გრძნობაზე და მომხიბლავ იუმორზე.

მარტი ლარნი,
ფინეთი.

შოლოხოვის შემოქმედება მე უდიდეს ლიტერატურულ მოვლენად მიმაჩნია. ჩემი თაობის ადამიანთა ცხოვრებაში, ჩემს ქვეყანაში (და არა მარტო ჩემს ქვეყანაში) მან ისეთი როლი შეასრულა, რომლის მასშტაბებზე დღევანდელ ახალგაზრდობას ყოველთვის როდი აქვს ჯეროვანი წარმოდგენა.

მე ლიტერატურის ისტორიკოსი არა ვარ და შოლოხოვის ლიტერატურული ოსტატობის კრიტიკულ განხილვას ვერ ვიკისრებ. მე ვწერ მხოლოდ როგორც ადამიანი, რომლის ლ

ფესტივალი — „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“

მეორე დღე

ფესტივალის აფიშა

დღეს, ოქტალამ მაისს, დიდ საკონცერტო დარბაზში აზერბაიჯანული სიმფონიური მუსიკის კონცერტის პროგრამაშია ა. მელიქოვის მეორე სიმფონია, ფ. ამიროვის სიმფონიური მოლამი „გულესთან ბაიათი შირაზი“, ა. რუსტამოვის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, ჯ. ჯანგიროვის კანტატა „ნასიმი“, დ. დადაშევის „ხეერცო“ სიმფონიიდან, ნ. მამედოვის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, ს. ბაბჯანოვის კონცერტი ორკესტრისათვის.

მონაწილეობენ: აზერბაიჯანის დამსახურებული კოლექტივი — უ. ჰაჯიბეკოვის სახელობის სიმფონიური ორკესტრი, სახელმწიფო საგუნდო კაპელა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. ალიევი, ი. რზაევი, მუსიკოს-შემსრულებელთა ამიერკავკასიის კონკურსის ლაურეატი რ. შიფრინი, დირიჟორები ი. ალიევი, რ. მელიქ-ასლანოვი.

მცირე ხაკონცერტო დარბაზში გაიმართება აზერბაიჯანული კამერული მუსიკის კონცერტი, რომლის პროგრამაშია ა. ალი-ზადეს სიმფონია, მ. ყულიევის კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის, ი. ჰაჯიბეკოვის კონცერტინო ორკესტრისათვის, ფ. კარაევის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

მონაწილეობენ: აზერბაიჯანის ტელევიზიისა და რადიოს კამერული ორკესტრი, მუსიკოს-შემსრულებელთა ამიერკავკასიის კონკურსის ლაურეატი რ. აბდულაევი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ვ. კასტელსკი, დირიჟორი — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი ნ. რზაევი.



„ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკა“ — ასე ეწოდება ახალ წიგნ-კრებულს, რომელიც სამი მომმე რესპუბლიკის მუსიკისმცოდნეთა ურთიერთთანამშრომლობის ნაყოფია. იგი გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო მასებისათვის და გვიამბობს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ზოგიერთ უმთავრეს მომენტზე.

წიგნი რუსულ ენაზე გამოუშვა გამომცემლობამ „ხელოვნებამ“. შემდგენელი და პასუხისმგებელი რედაქტორია გ. ორჯონიკიძე, შემდგენელები და რედაქტორები: ე. აბასოვა, გ. გეოდაკიანი, რედაქტორი — ნ. შანნაზაროვა.

წიგნი წარმოადგენს ამიერკავკასიის მუსიკალური ცხოვრების ერთობლივად აღბეჭდვის პირველ ცდას. იგი სინტერესოა იმითაც, რომ აქ მუსიკისმცოდნეთა წერილების გვერდით მრავლად შეხვდებით თვით კომპოზიტორთა გამოსვლებს კოლეგებს შესახებ და, რაც უფრო საგულისხმოა, ერთი რესპუბლიკის კომპოზიტორთა შეხედულებებსა და აზრებს მოძმე რესპუბლიკების მუსიკოსებზე. ამგვარი რამ ამიერკავკასიის მუსიკისმცოდნეობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. წიგნი, რა თქმა უნდა, სპეციალისტთა და მუსიკის მოყვარულთა დიდ ინტერესს გამოიწვევს, მაგრამ, ეხლა, ვიდრე იგი ფართო მკითხველამდე მიაღწევდეს, ჩვენ ვთხოვეთ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, სოციალისტური შრომის გმირს, კომპოზიტორ არამ ხაჩატურიანს თავისი პირველი შთაბეჭდილება გაეზიარებინა. აი რა თქვა მან:

ეს წიგნი თავისი მნიშვნელობით სცილდება დარგობრივი მოვლენის ფარგლებს და ჩვენი ხალხების ანალი ყოფის—მეგობრობისა და კულტურული დაახლოვების ნიმუშია. ის დიდი პოლიტიკური შინაარსის მოვლენაა, რომელსაც ჩვენს ამიერკავკასიის ხალხთა ოჯახში სამი საკუთარი ხმით კიდევ უფრო მძაფრად შემოაქვს ძმობისა და მეგობრობის გრძნობა.

გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის ეს აზრი ჭეშმარიტებაა და ნათლად გამოხატავს იმ დიდ წვლილს საერთო სახალხო საქმეში, რომელიც წიგნის ავტორებს თავიანთი ნამუშევრისთვის საფუძვლად დაუდევთ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔ.

Ვ. ᲓᲝᲜᲘᲐᲛᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ Ჯ. ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

ᲮᲣᲗᲨᲘᲓᲔᲚᲗᲐ ᲤᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲮᲣᲗᲨᲘᲓᲔᲚᲗᲐ დიდი ფორუმისათვის, სსრ საქართველოს ხალხთა VI სპარტაკიადის ფინალური ახპარეზობისათვის. აქ უკვე ჩავიდნენ სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლები, მათ შორის საქართველოს ხუთშიდელები, რომელთა ძირითად ბირთვს ახალგაზრდობა წარმოადგენს.

ყოველი გუნდი 4 ხუთშიდელითა არის დაკომპლექტებული, აქედან ერთი ხათადარიგოდ ითვლება. პირველ დღეს სპორტსმენებს პაექრობა ექნებათ ფარიკაობაში, მომდევნო დღეებში კი ახპარეზობები გაიმართება ცხენოსნობაში, პისტოლეტის სროლაში, ცურვასა და მძლეოსნურ კროსში.

გასულ სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის ხუთშიდელთა შედეგები მეტად არასახარბიელო იყო. ისინი მე-11 ადგილზე აღმოჩნდნენ, ამასთან [illegible] არ მოუპოვებიათ [illegible] ადგილი. ამ მდგომარეობა გათვალისწინებულ იქნა VI სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში.

საპრიზო ადგილების მთავარი პრეტენდენტები არიან უკრაინის, რსფსრ-ისა და მოსკოვის გუნდები. ჩვენი თანამედროვე ხუთშიდელთა კოლექტივის მთავარი საზრუნავია, რაც შეიძლება მეტი ქულები მოუტანონ რესპუბლიკას, ქულებს კი 1-8 ადგილი იძლევა.

ნ. ᲓᲠᲝᲜᲝᲕᲐᲡ — 36,7 ᲥᲣᲚᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ განათლების განყოფილების სასპორტო დარბაზში გრძელდება საქართველოს VI სპარტაკიადის ფინალური ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით სავალდებულო პროგრამით ვიუთა გამოსვლებზე. მათ შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ ქალები.

გუნდურ ჩათვლაში თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო და ლიდერობაც თავიდანვე მათ იგდეს ხელთ. დღეისათვის თბილისის ქალთა ნაკრებს 190,265 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან — ქუთაისის (178,11 ქულა), სამხრეთ ოსეთის (168,678 ქულა), აფხაზეთისა (150,643 ქულა) და ზუგდიდის (141,025 ქულა) გუნდები.

ყურადღებას იპყრობდა ჩვენი გუნდის წამყვანი ტანმოვარჯიშის ნ. დრონოვას გამოსვლა. ხტომებში მან მიიღო 9,3 ქულა, ნაირხმაღლის ორძელზე ვარჯიშში — 9 ქულა, დვრილზე ვარჯიშში — 9,4 ქულა, თავისუფალ ვარჯიშში — 9 ქულა. თ. ლაფერაშვილისა და ჟ. ბიჭიკაშვილის მაჩვენებლები თანაბარი აღმოჩნდა — 36,45 ქულა.

დღეს, როგორც ვიცეთ, ისე ქალებს შეჯიბრება ექნებათ ნებისმიერ ვარჯიშში.

ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲗᲐ ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲒᲐ

დასასრული. უახლოვდება საქართველოს VI სპარტაკიადა. როგორია დღეისათვის შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების სატურნირო მდგომარეობა 19 სახეობის შემდეგ?

ლიდერობას თბილისელები ინარჩუნებენ, რომლებსაც 1.331,4 ქულა აქვთ. აი დანარჩენი გუნდების მაჩვენებლები: ქუთაისი — 607,4 ქულა, აფხაზეთი — 502,5, აჭარა — 401,3, რუსთავი — 243, ფოთი — 227,9, სამხრეთ ოსეთი — 131,5, გორი — 96, ზუგდიდი — 61, ჭიათურა — 50, ტყიბული — 23 ქულა.

სასპორტო საზოგადოებათა შორის პირველი სამი ადგილი უპირავთ „განთიადის“ (982,65 ქულა), „დინამოს“ (736,25 ქულა) და „ბურევესტნიკის“ (546,10 ქულა) გუნდებს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲛᲝᲜᲐᲪᲝᲕᲘ. აქ გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პლენუმი, რომელშიც დასახა მთელი რიგი ღონისძიებები სპორტის ამ პოპულარული სახეობის შემდგომი განვითარებისათვის. ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია გიორგი „იზვესტიის“ სპორტული მიმოხილველი ბორის ფედოსოვი, რომელიც ფედერაციის მიერ ოთხი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა.

ᲚᲕᲝᲕᲘ. გუშინ აქ გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „კარპატსა“ და კიევის „დინამოს“ შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2 (1:2).

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ მეორე ლიგის პირველი ზონის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. აი მათი შედეგები: ბათუმის „დინამო“ — ჯიზაკის „ჯიზაკი“ — 3:0, ზარაძის „მერცხალი“ — თურმეზის „ავტომობილისტი“ — 2:1, სამტრედიის „ლოკომოტივი“ — გულისტანის „პახტაჩი“ — 0:0, ერევნის სკიფ-ი — ლანჩხუთის „გურია“ — 1:0, სუმგაითის „ხაზარი“ — გორის „დილა“ — 4:1, კიროვაბადის „პროგრესი“ — რუსთავის „მეტალურგი“ — 2:1.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. ირლანდიის ნაკრებმა კიევში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ, ვერაფრის ჩემპიონატის (შეიქმნა ჯგუფი) კიდევ ერთი მატჩი ნაატარა შვეიცარიის გუნდთან და დამარცხდა ანგარიშით 0:1 (0:0). ირლანდიელებს კვლავინდებურად ხუთი ქულა აქვთ (ხუთი თამაშის შემდეგ), სსრ კავშირის ნაკრებს — ოთხი (სამ მატჩში). 12 ოქტომბერს ჩვენი გუნდი ითამაშებს შვეიცარიაში, ირლანდიელები კი უმასპინძლებენ თურქებს.

ᲔᲜᲘᲡᲔᲘᲓᲘ. დასავლეთგერმანულმა კლუბმა „ბორუსიამ“ (ენინგლადბახი) მეორე თინეურ მატჩში დიდი ანგარიშით 5:1 (2:0) მოუგო ჰოლანდიის „ტვენტეს“ მისსავე მოედანზე და უეფა-ს თასი მოიპოვა. მათი პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ-0:0.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ ვარშავაში დამთავრდა მშვიდობის ველორბოლა, რომელიც სამი სახელმწიფოს — გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის გზებზე მომდინარეობდა.

ბოლო ეტაპის (176 კილომეტრი) ფინიშზე პირველი იყო საბჭოთა მრბოლი ვალერი ლიხაჩოვი.

გუნდურ ჩათვლაში მშვიდობის ველორბოლაში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, პირად ჩათვლაში — პოლონელმა რიშარდ შურკოვსკიმ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲙᲐᲚᲐᲛᲐᲖᲣᲠᲘ. სსრ კავშირის გოგონათა ნაკრებმა რიგაში მოუგო აშშ-ის ახალგაზრდულ ნაკრებს — 78:50 (37:26).

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ზაგრებში (იუგოსლავია) დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელმაც სტარტი ქალაქ როვინში აიღო. პირველობა მოიპოვა უნგრელმა დიდოსტატმა საკსმა — 8,5 ქულა 13 შესაძლებლიდან. მომდევნო ადგილებზე ანიჭეს ნიკოლაევი, კოვალევიჩი (ორივე — იუგოსლავია) და ცეშკოვსკი (სსრ კავშირი) — 8 ქულა თვითეულს. მეორე ჩვენმა მოჯადოკემ კუზმინმა მოიგოოვა 6,5 ქულა და მე-9 ადგილზე გადავიდა.

ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘ. კვლავ მოიპოვა გამარჯვება იაპონიის ნაკრებთან საბჭოთა კავშირის ვიუთა ნაკრებმა — 3:1, რომელიც იაპონიაში ატარებს ტურნეს.

რევოლუციის ჯარისკაცი

Ვ. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ლამაზ სოფელ მელაურში ფარნაობ და თეო გეგეშიძეების ოჯახი სამივე რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკთა საბრძოლო შტაბს წარმოადგენდა, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ მოხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ივანო და გიორგი სტურუები... აქ თავშეყრილი ბოლშევიკების ისინათელი მომავლისათვის საბრძოლველად მოუწოდებდნენ. ამ სოფლის ეზოსთან გამვლელი ჩერდება და მოწიწებით კითხულობს ემბორიალურ დაფაზე წარწერას: „ამ სახლში 1905 წლის მაისში გაიმართა სამტრედიის რაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია...“ კონფერენციაზე დამსწრეთა შორის იყო სასლის პატრონის ვაჟი ვალიკო. იგი მგზნებარე ლენინელთა ყოველ სიტყვას გულში იბეჭდავდა და მალე პროფესიონალი რევოლუციონერი გახდა. სამართლისათვის მებრძოლი ჭაბუკი მამასთან ერთად ხშირად ტრიალებდა მუშათა რიგებში.

თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს ვალიკო გეგეშიძეს უკვე გაელილი ჰქონდა რევოლუციური ბრძოლის გზა. იგი სემინარიის მსმენელთა მარქსისტული წრის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გახდა, ამავე დროს ბოლშევიკების დავალებით რევოლუციურ პროპაგანდას ანარეკლა, თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში ქმნიდა მუშათა ორგანიზაციებს რევოლუციურ წრეს.

1917 წელს ვალიკო გეგეშიძე სამტრედიაში ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნას ხელმძღვანელობდა და მონაწილეობისა და ესესრების შემთხვევაში პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინა, როგორც მარქსისტულ-ლენინური თეორიის მცოდნე ბოლშევიკმა.

1918 წლის შემოდგომაზე სტუდენტი ვ. გეგეშიძე თბილისის უნივერსიტეტში ქმნის პირველ ბოლშევიკურ ორგანიზაციას, რომლის წევრები ენერგიულ ბრძოლას აწარმოებენ იქ მოკალათებული მენშევიკების, ეროვნულ-დემოკრატების, ფედერალისტებისა და სხვა წვრილბურჟუაზიული ელემენტების წინააღმდეგ. იგი ამავე დროს რევოლუციურ მუშაობას აწარმოებს თბილისში დაბანაკებულ ეცხოელ ჯარისკაცთა შორისაც, ავიკრძალებს ბოლშევიკურ პროკლამაციებსა და მოწოდებებს.

პარტიული ცენტრის მითითებით 1918 წლის ბოლოს ვ. გეგეშიძე მენშევიკურ არმიაში და ფრონტზე ჯარისკაცებს შორის ბოლშევიკური პროპაგანდას აწარმოებს, აშარარავებს ომის მძარცველურ, ანტახალხურ ხასიათს და ჯარისკაცებს მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებს. შემდეგ ბ. გეგეშიძე თბილისში ბრუნდება და რევოლუციურ მუშაობაში მონაწილეობს (იყო თბილისის პირველი რაიონის ბოლშევიკური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი).

1919 წლის შემოდგომაზე საიოველთათო შეიარაღებული აჯანყების მოწყობა რომ გადაწყდა, ვალიკო გეგეშიძე სამტრედიაში გაგზავნეს, სადაც ვინო და გიორგი სტურუებთან ერთად აჯანყების მოსამზადებელი მუშაობა გაეწია. ამ შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ ვ. გეგეშიძე არალეგალურად ცხოვრობდა ჯერ სამტრედიაში, შემდეგ თბილისში, მაგრამ საგანგებო რაზმის აგენტებმა მის კვალს მიაგნეს, 1920 წლის თებერვალში დაატყვევეს და ქუთაისის ციხეში ჩასვეს.

რევოლუციური ცეცხლით ანთებული ჯარისკაცი ციხეშიც არ ცხრება. ვ. გეგეშიძემ პატიმრებისგან შექმნა წრე და მის წევრებს ამეცადინებდა. მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში.

საბჭოთა რუსეთთან დადებული საშვიდობო ხელშეკრულების საფეძველზე ვ. გეგეშიძე მენშევიკებმა სასყორობლიდან გაათავისუფლეს. ციხიდან გამოსულთათანვე ის მთელი ენერგიით ეუმეცა რევოლუციურ მუშაობაში. სამუშაოდ გზავნიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში, სადაც ზრუნავს მისი ყოველი ნომრის დროზე გამოსვლისა და გავრცელებისათვის. როგორც ცნობილია, 1920 წლის 17 დეკემბერს მენშევიკებმა დაარბიეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია და მისი მუშაკები დაუპატიმრეს. ვ. გეგეშიძე მტრების ციხეში ჩასვეს, შემდეგ ქუთაისის სასყორობლეში გადაიყვანეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე ვ. გეგეშიძე აქტიურად ეგმება პარტიულ საქმიანობაში. თუმცა ჯანმრთელობა შეერყა, წლების განმავლობაში მაინც მუშაობდა პარტიის სამტრედიისა და ხაშურის რაკომების პირველ მდივნად, იყო ქუთაისის საქალაქო კომიტეტის, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის კპ(ბ) სამხრეთ კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი.

ვალიკო გეგეშიძემ თბილისისა და სამტრედიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობაში დაწერა მოგონებები, ნარკვევები, წერილები... მაგრამ დიდხანს არ დასცალდა მშობლიური ხალხის სამსახური. პროფესიონალი რევოლუციონერის მძიმე ცხოვრებამ, ციხეებმა და დევნამ გაეხარა მისი ჯანმრთელობა. 1931 წლის 14 იანვარს, სიცოცხლის გაფურჩქნის პერიოდში, გარდაიცვალა.

მუშათა კლასის საქმისათვის თავგადადებულს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის მებრძოლს მადლიერი მშრომელი ხალხი არასოდეს დაივიწყებს.

ᲤᲐ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ.

ᲔᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲐ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲮᲣᲤᲘ



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ქალაქ პიუსტონში, რომელიც კოსმოსურ ცენტრად არის ცნობილი, ცხოვრობს მსოფლიოსათვის უცნობი „კოსმონავტი“. დევიდმა თავისი სიცოცხლის სულ რაღაც ოთხიოდე წლიდან მხოლოდ ხუთი წამის განმავლობაში ახუთქა იმ პაერით, რომლითაც სუნთქავენ დანარჩენი მიწიერნი. მან არ იცის, რა არის დედის ამბორი, მამის მკერდი ჩახუტება, მას არასდროს უსეირნია თავის ექვსი წლის დასთან კეტრინთან ხელიხელჩაკიდებულს. მან არ იცის უყვავილეობის ხურნელება, როგორ გამოცოცხლდება ხოლმე პაერი წვიმის შემდეგ. დევიდი არასდროს შეხებია მეორე ადამიანის კანს. იგი ცხოვრობს ტეხასის საბავშვო საავადმყოფოში — გარესამყაროსაგან ჰერმეტიულად ბლასტიკური ხაფარით განტევეული. ეს საფარი რომ დაირღვეს, დევიდი ავად გახდება და აუცილებლად დაიღუპება. ბავშვს სრულიადაც არ გააჩნია იმუნიტეტის სისტემა. იმ მიკრობებთან და ვირუსებთან შეხვედრაც კი, რომლებიც სავსებით უსაფრთხოოა ჯანმრთელი ადამიანისათვის, დევიდისათვის ტრაგიკულად დამთავრდება...

ᲔᲠᲗᲘ შეხედვით ბავშვის მდგომარეობა ფრიად სამწუხაროდ და საშინლად მოგეჩვენება. მაგრამ საკმარისია თვალყური ადევნო მას და მიხვდები, რომ დევიდი ბედნიერად გრძნობს თავს.

ეს მომხიბლავი დიდთვალება ანგელიბეჭი შემოგხვდებათ ხალისიანი მისალმებით „ჰელოო“ და შემპარავად ვაგიღიმებთ. ოღონდ ეს არის, მის ხმას ოდნავ ახშობს პეპსიცოლასის საფარი.

ოთახი-საკანი, რომელშიც დევიდი თამაშობს, ფართობით 2,4X3 კვადრატული მეტრია. აქედან რამდენიმე საფეხურს აიკლის და მეორე საკანში შეკა, სადაც ბავშვი იძინებს. იქვეა ტელევიზორი. ხავეგი ეძლევა სპეციალური ოზოატორიდან. დევიდის მენიუში არ შედის არც ხორცი და არც ახალი ხილი, არაფერი, რაც შეიძლება აბსოლუტურად სტერილური არ იყოს. დევიდი გატაკეზულია ბურთის თამაშით, ეყვარს თავსატანი ამოცანების ამოხსნა, მუსიკის მოსმენა. ნსახველები მის ცნობისმოყვარეობას არ იწვევენ. იგი ყოველდღე უამრავ ხალს ხედავს — ექიმებს, ძიძებს, ტექნიკოსებს, რომლებიც თვალყურს ადევნებენ პაერსაწმენდ სისტემას და სხვა მოწყობილობას. მაგრამ ბავშვს განსაკუთრებით უყვარს ექიმი ჯილსონი. ჯილსონი ეფსპერიმენტული ბიოლოგიისა და იმუნოლოგიის პროფესორია, ამასთან ერთად მისი ნათლიაც არის, მეგობარიც და აღზრდელიც. ბავშვეებტელების მიეცა — დაბადებულიყო თუ არა დედიდი, ადვილი რიდი იყო.

1970 წელს ახალგაზრდა ცოლქმარს ვაჟი შეეძინათ. იგი მალე ავად გახდა. ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ ახალშობილს თიმუსის არ გააჩნია იმუნიტეტი. ექიმმა ხუხმა გაბედა მისთვის გადაეწერა ძვლის ტვინი, რომელიც დისგან — კეტრინისაგან აიღეს. საუსი იმედოვნებდა, რომ გადანერგული უჯრედები შეძლებდნენ ჯანსაღი ლიმფოციტების წარმოშობას და ამ მხრივ უზრუნველყოფდნენ იმუნიტეტს. მაგრამ ტრანსპლანტაციამ ხაქმეს ვერ ეშველა. შვიდი თვის შემდეგ ბავშვი გარდაიცვალა ფილტვების ანთებით.

შემდეგ ექიმებმა გამოარკვიეს, რომ დაავადება მემკვიდრეობითი იყო და იგი ემუქრებოდა ამ ოჯახის მამრობითი სქესის ყველა ნაშიერს. ამასთან ასიდან ორმოცდაათ შემთხვევაში შეიძლებოდა ჯანმრთელი ბავშვი დაბადებულიყო. მშობლებმა გადაწყვეტეს კიდევ ერთხელ იცადათ ბედი...

მშობიარობამდე რამდენიმე თვით ადრე დედამ გაიგო, რომ ვაჟი ეყოლებოდა. ამრიგად, თამაში ხანახვიროო უკვე წაგებული იყო დეკემბერის დაბადებამდე. ექიმები შეიმზადნენ ამაგებულების ნივთიერების პოვნის შანსი უდრიდა 1:32 ათასთან და, ტრანსპლანტაცია უარყოფილი იქნა.

ექიმი ჯილსონი იმედოვნებდა, რომ შესაძლოა იმუნიტეტი თავისთავად განვითარდესო. ადრე ექიმის პრაქტიკაში ასეთი რამ მომხდარა კიდეც. მაგრამ გადიოდა თვეები, წლები და ამ იმედსაც უკანა პლანზე გადაინაცვლა. გამოიყენეს ამ დარგში მიღწეული მკურნალობის ყველა უახლესი მეთოდი, მაგრამ ხაქმეს არაფერი ეშველა...

ამასობაში ბიჭუნა სწრაფად იზრდებოდა. „ახლა იგი სავსებით ჯანმრთელი და ნორმალურად განვითარებული ბავშვია, — ირწმუნება დევიდის ერთ-ერთი ექიმი. — მე ვიტყოდი, რომ იგი თავის თანატოლებზე უფრო აქტიური და ხალისიანია“. მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდება ასე?

თვითონ დევიდმა უკვე დაიწყო იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ დაიღწიოს თავი პლასტიკის საპყრობილეს. „როცა აქედან გამოვალ, — უთხრა მან ამას წინათ დედას, — სამზარეულოში დაგეხმარები“.

ექიმები იმედოვნებდნენ, რომ დევიდი ჯერ კიდევ ადრე ბავშვობაში დაიღწევდა თავს საკანს.

მაგრამ ვერავითარმა წამალმა ვერ უშველა. ექიმებს აშფოთებთ, რომ მალე დევიდი შეიგნებს თავის მდგომარეობას და შესაძლოა მას აღარ მოეწონოს პერსპექტივა — მთელი სიცოცხლე გაატაროს სტერილურ სამყაროში, — რომელიც სპეციალურად მისთვის შექმნეს. „ასეთი ვარიანტი უნდა გავითვალისწინოთ, — ამბობს ექიმი უილსონი. — და მეც, უკვე პირველი ნაბიჯებიდანვე ვამზადებდი დევიდს ყველაფრისათვის, რაც შეიძლება მომავალში მოხდეს“. დევიდის სახლში, რომელიც პიუსტონის მასლობლად მდებარეობს, სპეციალური საკნები მოწყობილია სამივე ოთახში და ბავშვს ერთი საკნიდან მეორეში შეუძლია გადავიდეს სპეციალური გვირაბების საშუალებით. „მას უყვარს ცქერა, როცა რამეს ვამზადებ, — ამბობს ექიმი — ოცდაათი წლის ანა კეროლი. — ხანდახან ხასლში მეზობლის ბავშვებსაც ეუშვებთ სოლმე. ბავშვები სწრაფად პოულობენ ერთმანეთთან საერთო ენას“.

სიცოცხლის ნახევარი დევიდმა ხასლში დაპყო. ექიმმა უილსონმა ასწავლა მას, თუ როგორ გაფრთხილებოდა თავის პლასტიკის ბინას. დევიდი კედლის ხაასლოოსაც არ აკარებს თამაშაქოს მუშაკებს — ეცეცხლმა შეიძლება დააზიანოს ისინი — და ყოველდღე გულდასმით ათვალიერებს თავის ხაცხოვრებელს. ერთხელ, როცა ხინათლე ჩაქრა, ბავშვმა მყისვე დაუძახა დედას — ავარიული გენერატორი ჩართეო. „მან იცის, რომ საპაერო ფილტრები ბუცილებელია მისი სიცოცხლისათვის“.

წიგნებით, სათამაშოებით, ხალხით გარშემორტყმული, დევიდი სწრაფად ივსებს თავის ლექსიკურ მარაგს და უკვე კითხვასაც იწყებს. მაგრამ ბავშვს ეზრდება საკნიდან გამოხვლის სურვილიც. ამას წინათ, როცა მამის საქმიანობას უცქერა, ბიჭუნამ უთხრა, გამომიშვი ხაკნიდან და წაგეხმარები.

კოსმოსური კვლევის ცენტრის — ნასას — სპეციალისტებმა დევიდისათვის მინი-ხაფანდრი დაამზადეს, რომლითაც ბავშვს შეუძლია გამოვიდეს თავისი შემინული ბინიდან.

კოსტიუმი ჯერ ნორმალურ ბავშვს მოასინჯეს, რომელსაც ფრიად მოეწონა კოსმოსური ტანსაცმელი. ჩასაცმელად დევიდი თავისი იზოლატორიდან სქელი ქსოვილისაგან დამზადებულ გვირაბში უნდა შეიჭრეს, რომლის ბოლოსაც არის კოსტიუმი. გვირაბი შემდეგ იკეცება მის ზურგს უკან. კოსტიუმზე მიმაგრებულია 10 ფუტის სიგრძის მილი, რომელიც ბავშვს პაერით უზრუნველყოფს.

ასეთ კოსტიუმში მოძრაობა ძნელი არ არის, ბურთზე დარტყმაც კი შეიძლება.

არის თუ არა იმედი, რომ ბიჭუნას მოამორჩენ, თუნდაც ჯერჯერობით მისთვის თავშესაქცევი კოსმოსური კოსტიუმი? შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული მეცნიერული კვლევა მალე დაეხმაროს დევიდს ამ მხრივ. სხვათა შორის, მისმა ორგანიზმმა უკვე დაიწყო სულ უფრო მეტი ლიმფოციტების გამოყოფა, მაგრამ ექიმები ამბობენ, ჯერჯერობით ისინი სრულყოფილი არ არიან და აუცილებელია მათი გაეაქტიურების ხერხი ვამოინახოსო.

„ახლა, — ირწმუნება ერთ-ერთი ექიმი, ვინც თვალყურს ადევნებს დევიდს, — ჩვენ საფუძველი არა გვაქვს მოგვარნდეს, რომ დევიდის მკურნალობა წარმატებით დამთავრდება“.

ერთხელაც იქნება, დევიდი გაიგებს, რომ იგი იზოლირებულია, აღმოაჩენს თავისი სამყარის საზღვრებს. დროსთან ორთაბრძოლაში ჰიუსტონელმა ექიმებმა თხოვნით მიმართეს თავიანთ კოლეგებს მთელ მსოფლიოში — დაგვეხმარეთ საშუალებათა ძიებაში, რომლებიც დევიდს შეაძლებინებენ პირველი ნაბიჯები გადადგას მირიადობით ბაქტერიითა და ვირუსით გაჯერილ ჩვენს პლანეტაზე. ექიმმა უილსონმა, რომელმაც ბავშვისათვის შეიმუშავა სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემა, მთელ მსოფლიოს შემოუფრინა, ჯონსონ ტაციები მიიღო სხვა ქვეყნების სპეციალისტებისაგან, მაგრამ ჯერჯერობით ამაოდ.

დევიდის მდგომარეობა იმ კოსმონავტის ყოფას წააგავს, რომელსაც არ ძალუძს თავისი ხომალდის მიწაზე დაშვება.

„გადაწყვეტა, — ამბობენ ექიმები, შეიძლება აღმოჩნდეს მომავალი თვეშიც და შეიძლება ერთი წლის შემდეგაც“. და ხანამ ექიმები ამბობენ. შეიძლებო, დევიდი კოსმოსური ხაკნით განაგრძობს თავის არაჩვეულებრივ „ფრენას“ ტესასის მასლობლად.

„ᲜᲘᲓᲔᲚᲘᲐ“, № 20.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ ვარშავაში დამთავრდა მშვიდობის ველორბოლა, რომელიც სამი სახელმწიფოს — გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის გზებზე მომდინარეობდა.

ბოლო ეტაპის (176 კილომეტრი) ფინიშზე პირველი იყო საბჭოთა მრბოლი ვალერი ლიხაჩოვი.

გუნდურ ჩათვლაში მშვიდობის ველორბოლაში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, პირად ჩათვლაში — პოლონელმა რიშარდ შურკოვსკიმ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲙᲐᲚᲐᲛᲐᲖᲣᲠᲘ. სსრ კავშირის გოგონათა ნაკრებმა რიგაში მოუგო აშშ-ის ახალგაზრდულ ნაკრებს — 78:50 (37:26).

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ზაგრებში (იუგოსლავია) დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელმაც სტარტი ქალაქ როვინში აიღო. პირ